

შალვა გობიაშვილი

კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა
და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში

გამომცემლობა “ინოვაცია”
თბილისი 2009

Shalva Gogiashvili

**The Competition Economic Policy
and Practice of Law in Georgia**

Tbilisi
Publishing House 'Innovation'
2009

შალვა გოგიაშვილი. კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა “ინოვაცია”, 2009 წ.100გვ.

ნაშრომში გაანალიზებულია კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის თეორიის, კონკურენციული ურთიერთობების განვითარებისა და ანტიმონოპოლიური (საკონკურენციო) კანონმდებლობის წარმოქმნის ეტაპები, მისი პრაქტიკული რეალიზაციის პრობლემები საქართველოში. განხილულია მონოპოლიური მდგომარეობისა და მონოპოლიური საქმიანობის როლი შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციის შეზღუდვის თვალსაზრისით და მათ მიმართ საკონკურენციო კანონმდებლობის სხვადასხვა მოდელების დამოკიდებულება.

განხორციელებულია კონკურენციისა და მონოპოლიზმის ურთიერთდაპირისპირებული დახასიათება “საზოგადოებრივი კეთილდღეობისა” და “სიღარიბის” ზრდისა თუ შემცირების ასპექტში. დეტალურადაა შესწავლილი და კრიტიკულად გაანალიზებული საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციის დონის ზეგავლენა კონკურენციის ხარისხზე; წარმოდგენილია კონცენტრაციის კოეფიციენტების განსაზღვრის მეთოდები და სასაქონლო ბაზრების “რანჟირების” კონკრეტული კრიტერიუმები. დასაბუთებულია “საბაზრო” და ბუნებრივი მონოპოლიების საბაზრო ქცევის მონიტორინგისა და რეგულირების აუცილებლობა; მოცემულია მათი განხორციელების მექანიზმი.

წინამდებარე გამოკვლევაში განსაზღვრულია საქართველოს კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის და შესაბამისად, კონკურენციული კანონმდებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეები ევროკავშირის საკონკურენციო სამართლებრივ ნორმებთან მიმართებაში; წარმოდგენილია მათი როლი და მნიშვნელობა კონკურენციული უპირატესობისა და კონკურენტუნარიანობის მიღწევის სტრატეგიაში.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი სახელმწიფოს როლს ბიზნესის გარემოს სრულყოფის საქმეში; კვლევის თემატიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ინტერესია გამოვლენილი კონკურენციის პოლიტიკისა და საკონკურენციო კანონმდებლობის მნიშვნელობისადმი ბიზნესისათვის ქვეყანაში ჯანსაღი პირობების ფორმირებისა და სამეწარმეო პრაქტიკაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების აღკვეთის მიმართულებით.

წიგნი განკუთვნილია ეკონომიკური პოლიტიკის, კონკურენციის თეორიისა და ქართული საკანონმდებლო პრაქტიკით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი:

რევაზ გველესიანი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები:

რამაზ აბესაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

სლავა ფეტელავა

ეკონომიკის დოქტორი, გრ.რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

Shalva Gogiashvili. The Competition Economic Policy and Practice of Law in Georgia. Tbilisi, Publishing House 'Innovation', July 2009, 100p.

The study analyzes the stages of the theory of competition economic policy, development of the competition relations and establishment of the antitrust (competition) legislation and the problems of its practical application in Georgia. The study reviews the role of monopolistic position and monopolistic activity at relevant commodity market in terms of limitation of the competition and application of various models of competition legislation thereto.

The comparative analysis of the competition and the monopolism is provided in terms of either growth or drop of the public welfare and the poverty. The influence of concentration of power upon the competition level is explored in details and analyzed in a critical manner; there are provided thereby the methods of determination of the concentration rate and the specific criteria of ranging the commodity markets. The necessity of monitoring the market behaviour and regulation of the 'market' and natural monopolies is grounded and the mechanisms of their implementation are provided thereby.

This study highlights the positive and negative aspects of the competition economic policy and respectively the competition laws of Georgia against the statutory norms of EU competition law. It also underlines their role and importance in the strategy of gaining the competition advantage and competitiveness.

The study is focused on the state's role in perfection of the business environment; due to the specificity of question area, the special interest was paid to the importance of competition policy and competition legislation in terms of establishment of the fair business conditions in the state and prevention of the unscrupulous competition in the entrepreneurial practice.

The book is intended for the readers interested in the economic policy, the competition theory and the Georgian legal practice.

Editor

Revaz Gvelesiani

Doctor of Economics, Professor

Reviewers

Ramaz Abesadze

Doctor of Economics, Professor

Slava Petelava

Doctor of Economics, Associated Professor
at the University n.a. Gr.Robakidze

შინაარსი

შესავალი - - - - -
- - - - - 7

თავი 1. მონოპოლიური მდგომარეობა და მონოპოლიური საქმიანობა; სახელმწიფო რეგულირება და მისი სამართლებრივი ასპექტები - - - - - 13

- 1.1. მონოპოლიური მდგომარეობის ცნება - - - - - 14
- 1.2. კონკურენციული გარემოსა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზა - - - - - 15
- 1.3. საქართველოს სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის ამოცანები, მისი განმახორციელებელი ორგანოს ფუნქციები და უფლებამოსილებები - - - - - 24

თავი 2. კონკურენციის შეზღუდვის ტიპები, საკანონმდებლო აკრძალვები და რეალიზაციის დიფერენცირებული მექანიზმები - - - - - 33

- 2.1. არჩევანი კონკურენციასა და მონოპოლიზმს შორის – არჩევანი საზოგადოებრივ კეთილდღეობასა და სიღარიბეს შორის - - 33
- 2.2.“საბაზრო” და ბუნებრივი მონოპოლიები; რეგულირების სპეციფიკა - - - - - 38
- 2.3. საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაცია და მისი მაჩვენებლები- - - - - 46
- 2.4. კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვა - - - - - 51

თავი 3. კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და მისი საერთაშორისო ასპექტები - - - - - 58

- 3.1. ეკონომიკური პოლიტიკის როლი კონკურენციული უპირატესობისა და კონკურენტუნარიანობის მიღწევის სტრატეგიაში - - - - - 58
- 3.2. საქართველოს საკონკურენციო პოლიტიკა და ევროკავშირი- -62

გამოყენებული ლიტერატურა - - - - - 69

დანართი - - - - - 72

- 1. საქართველოს კანონი «მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ» - - - - - 73
- 2. საქართველოს კანონი «თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის

შესავალი» - - - - -	-88
---------------------	-----

Contents

Introduction - - - - -	7
Chapter 1. Monopolistic position and monopolistic activity;state regulation and legal aspects - - - - -	13
1.1. Concept of monopolistic position - - - - -	13
1.2. Corporate and legal grounds of competition environment and protection of consumers'rights - - - - -	-18
1.3. Antitrust operational challenges of the State of Georgia, functions and powers of authorities in charge - - - - -	24
Chapter 2. Restriction types of competition, legal prohibitions and Differentiated echanisms of realization - - - - -	33
2.1. Choice between the competition and monopolism – choice between the public welfare and poverty - - - - -	33
2.2. “Market” and natural monopolies; specificity of regulation - - - - -	38
2.3. Concentration of the market power and indexes thereof - - - - -	46
2.4. Limitation of the competition and prohibition of the unfair competition - - - - -	-51
Chapter 3.Competition economic policy and international aspects thereof - - - - -	-58
3.1. Role of the economic policy in the strategy of gaining the competition advantage and competitiveness- - - - -	58
3.2. Georgian competition policy and EU - - - - -	62
Bibliography cited - - - - -	69
Appendix - - - - -	72
1. Law of Georgia “On Monopolistic Activity and Competition” - - - - -	73
2. Law of Georgia “On Free Trade and Competition” - - - - -	88

შესავალი

დამოუკიდებლობის მიღწევისა და საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის აუცილებლობის თაობაზე ქვეყნის მიერ საჯაროდ გაცხადებული კურსის შემდეგ საქართველოში დღის წესრიგში დადგა განვითარების ეკონომიკური მოდელის შერჩევა და მისთვის დამახასიათებელ კრიტერიუმებზე დაყრდნობით სათანადო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი კონცეფტუალური მიმართულებების ჩამოყალიბება. ბუნებრივია, მათი პრაქტიკული გამოხატულება და სისტემური, თანდათანობითი რეალიზაცია მხოლოდ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დაჩქარებული ფორმირებით, აღმასრულებელი ინსტიტუტების შექმნით და მათი მეშვეობით საკანონმდებლო მოთხოვნების სამეურნეო ცხოვრებაში სასწრაფო დანერგვითა და შემდგომში სისტემატური მონიტორინგითა და თანამიმდევრული განხორციელებით იყო შესაძლებელი.

თანამედროვე ეკონომიკური მოდელების ძირითადი განსხვავებები საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში სახელმწიფოს ადგილითა და როლით არის განპირობებული; მიუხედავად მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებაში კონკურენციის პრინციპების უალტერნატივო უპირატესობისა საბაზრო ეკონომიკის ყველა მოდელისათვის, ანგლო-საქსური მოდელები, ეყრდნობიან რა “ლიბერალური ბაზრის” კონცეფციას, მაქსიმალურად ათავისუფლებენ საბაზრო მექანიზმს სახელმწიფო ჩარევებისაგან (რაც არ ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან ძირითადი, მათ შორის ეკონომიკური შინაარსის ფუნქციების შესრულებაზე უარის თქმას) და ეკონომიკის განვითარებაში ე.წ. სტიქიური, ანუ თვითრეგულირების მექანიზმისათვის მეტი “ნდობის” გამოცხადებას უჭერენ მხარს. რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკის ე.წ. გერმანულ-შვედურ, ანუ სოციალურად ორიენტირებულ მოდელებს, სახელწოდებიდან გამომდინარეც ჩანს, რომ სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს მოახდინოს საბაზრო მექანიზმის ნეგატიური შედეგების კორექტირება საზოგადოების სხვადასხვა ფენის (არა მარტო კონკურენციაში გამარჯვებულთა, არამედ საზოგადოების სოციალურად შედარებით სუსტი და ნაკლებად დაცული ნაწილის) სოციალური ინტერესების გათვალისწინებითა და სასარგებლოდ. ცხადია, ამ შემთხვევაშიც არ ხდება

საბაზრო ეკონომიკის მთავარი მასტიმულირებელი ბერკეტის – კონკურენციის მნიშვნელობის იგნორირება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნებისმიერი საზოგადოებისათვის აუცილებელია გარკვეული წესრიგი, რაც უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობის დასაბუთების ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად და პირობად. ცხადია, საერთო წესრიგში უდიდეს როლს ასრულებს ეკონომიკური წესრიგი, რომელიც საბაზრო ეკონომიკისათვის სხვა არაფერია, თუ არა კონკურენციული წესრიგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის საერთო ეკონომიკურ პოლიტიკაში, თუ ეს ქვეყანა საბაზრო ურთიერთობებს ეყრდნობა, გადამწყვეტ როლს ასრულებს კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა, ანუ კონკურენციული წესრიგის პოლიტიკა.

საინტერესოა გავისხენოთ, რომ სოციალიზმის “პოლიტიკური ეკონომიისათვის” მიუღებელი იყო კონკურენციისთვის რაიმე ფორმით წესრიგის ფუნქციის მინიჭება და კონკურენციის გვერდით ყოველთვის ანარქიის ეპითეტი მოიხსენებოდა. რაც შეეხება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ზომას, იგი მაქსიმალურად იზრდება ხოლმე ეკონომიკური კრიზისებისა და დეპრესიის პერიოდში და შესაბამისად მატულობს ჯ.კეინსისა და კეინსიანელთა მომხრეების რიცხოვნება როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, ისე მეცნიერ-ეკონომისტებში. ეკონომიკური აღმავლობის წლებში კი პირიქით - იზრდება მ.ფრიდმანის მომხრეთა რიცხოვნება, რომლებიც ეკონომიკაში სახელმწიფოს მაქსიმალური ჩაურევლობის პრინციპს ეყრდნობიან და ეკონომიკურ განვითარებაში წარმოქმნილ დისპროპორციათა მიზეზებს სახელმწიფოს მხრიდან საბაზრო-ეკონომიკურ მექანიზმში არაადექვატური ჩარევით და რეგულირებით ხსნიან.

სამწუხაროდ, საქართველოში არც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის სტადიაზე და არც შემდგომში დღემდე არ მომხდარა ოფიციალური დეკლარირება განვითარების შერჩეული ეკონომიკური მოდელის შესახებ. თუმცა, ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული ფრაგმენტების, მიზნობრივი პროგრამებისა და ინდიკატიური გეგმების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის ეკონომიკა თავდაპირველად თავის განვითარებაში უფრო სოციალურად ორიენტირებული მოდელის პრინციპებს ეყრდნობოდა, ხოლო შემდგომში, როდესაც განხორციელდა რადიკალური რეფორმები ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და დერეგულირების მიმართულებით, უპირატესობა მიენიჭა ლიბერალური საბაზრო მოდელის მოთხოვნებს.

რადგან კონკურენცია და ჯანსაღი კონკურენციული გარემო კერძო საკუთრებასთან ერთად წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების “ხერხემალს” და მთავარ მასტიმულირებელ ძალას, იმ უპირველესი ნორმატიულ-საკანონმდებლო აქტების ნუსხაში, რომლებიც საქართველოში 1991-1992 წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ საპარლამენტო საქმიანობის აღდგენამდე სახელმწიფო საბჭომ დაჩქარებულად მიიღო უკვე 1992 წლის დასაწყისში, იყო დეკრეტი “მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის შესახებ”, რომელიც 1996 წელს საკონკურენციო კანონის მიღებად ასრულებდა საქართველოს ეკონომიკაში კონკურენციული ურთიერთობების განმსაზღვრელი და მარეგულირებელი დოკუმენტის როლს. ეს დეკრეტი, ხოლო 1996 წლიდან კანონი “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” განსაზღვრავდნენ ქვეყნის კონკურენციული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საკონკურენციო გარემოს ფორმირებისა და დაცვის მექანიზმს, უზრუნველყოფდნენ მომხმარებელთა ფართო წრის ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებას. მათ გარკვეული როლი ეკისრებოდათ პრივატიზების პროცესის პარალელურად ეკონომიკის დემონოპოლიზების განხორციელებაში. ვინაიდან საქართველოს საკონკურენციო კანონმდებლობის შემუშავებისას გათვალისწინებულ იყო აღნიშნულ სფეროში არსებული მსოფლიო გამოცდილება, მიუხედავად რიგი ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისა, რომელთა შესახებ მიუთითებდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები, მთლიანობაში ითვლებოდა პროგრესულ კანონმდებლობად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო საკონკურენციო პოლიტიკის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების ეფექტური რეალიზაცია. სამწუხაროდ, 2005 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო და ინსტიტუციურმა რეფორმამ კონკურენციის სფეროში მართალია შეავსო იგი ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებით, როგორცაა სახელმწიფო დახმარებები, მაგრამ იმავდროულად იგნორირება მოახდინა რიგი უმნიშვნელოვანესი საკონკურენციო ნორმებისა და დებულებებისა, რამაც ფაქტობრივად მიახლოების ნაცვლად დააშორა ქვეყნის საკონკურენციო კანონმდებლობა ევროკანონმდებლობას, რომელთან ჰარმონიზაციაც საქართველოს ოფიციალურად დეკლარირებულ პრიორიტეტად და მიზნობრივ კრიტერიუმად აქვს მიჩნეული. ამან ცხადია,

შეუძლებელი გახადა საკონკურენციო ურთიერთობათა სათანადოდ რეგულირება და კონკურენციული გარემოს ფორმირება ე.წ. არარეგულირებად, კონკურენციულ სფეროებში. ამგვარ სიტუაციას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ კონკურენციის სფეროში მოქმედი მთავარი საკონკურენციო ორგანო – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო როგორც უფლებრივად, ისე ინსტიტუციურ-სტრუქტურულად მნიშვნელოვნად დაკნინებულია და მისთვის აუცილებელ უფლებამოსილებათა მინიჭებისა და სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება ქვეყანაში მონოპოლიზმის წინააღმდეგ რეალური ბრძოლა. უფრო მეტიც, დღევანდელი მდგომარეობით თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს არ შესწევს ძალა და კანონმდებლობით არც საიმისო უფლებამოსილება გააჩნია, რომ განახორციელოს სასაქონლო ბაზრების ანალიზი საბაზრო კონცენტრაციისა და მონოპოლიზაციის ხარისხის დასადგენად, ურომლისოდაც საერთოდ შეუძლებელია არა თუ მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვა, არამედ მასზე სერიოზულად მსჯელობაც კი. არადა, საყოველთაოდაა ცნობილი, რომ საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს მონოპოლიურ საქმიანობას და ამასთან ავალდებულებს ხელისუფლებას, რათა ხელი შეუწყოს კონკურენციის განვითარებას. ამგვარად, კონკურენციის სფეროში არსებულ კანონმდებლობაში შესაბამისი რადიკალური ცვლილებების სასწრაფო წესით მომზადებისა და შეტანის გარეშე, ადგილი ექნება საკონსტიტუციო ნორმის აშკარა შეუსრულებლობას და კონკურენციის კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შეუსაბამობას, ანუ კონფლიქტს კონსტიტუციასთან.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს კიდევ ერთი კონფლიქტის თაობაზე. გავრცელებულია მოსაზრება, რომ არსებობს კონფლიქტი ეკონომიკური წესრიგის შემადგენელ ძირითად კომპონენტებს შორის, ანუ კონკურენციული წესრიგის პოლიტიკასა და სოციალურ პოლიტიკას შორის. ძნელია ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო, ვინაიდან ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა თანაფარდობით კონკურენციულ წესრიგსა და სოციალურ წესრიგს შორის. ასიგნებათა ზრდა სოციალურ მიზნებზე ავტომატურად ნიშნავს კონკურენციის შედეგების გადასინჯვას და შემოსავლების დამატებით გადანაწილებას და პირიქით. მაგრამ აბსოლუტურ მაჩვენებლებში ამ კანონზომიერებას ადგილი აქვს მიმდინარე პერიოდში და

მოკლევადიან პერსპექტივაში. რაც შეეხება გრძელვადიან პერსპექტივას, კონკურენციის მაქსიმალური წახალისება და ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ხელშეწყობა განაპირობებს რესურსების ეფექტიან ხარჯვას, გამოშვებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების მოცულობის გადიდებას და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდას. შედეგად, შეიქმნება გაცილებით ძლიერი მატერიალურ-ფინანსური ბაზა აბსოლუტურ მაჩვენებლებში სოციალური პოლიტიკის წარმართვისათვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროცენტული თანაფარდობა კონკურენციულ წესრიგსა და სოციალურ წესრიგს შორის არ შეიცვლება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ამდენად, თანდათანობით ეკონომიკური ზრდის პარამეტრების ოპტიმიზაციის, დასაქმების ხელშეწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისა, საყოველთაო სადაზღვევო სისტემის ფორმირებისა, საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებისა და ამოქმედების პარალელურად თანაფარდობა ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის კომპონენტებს შორის უნდა შეიცვალოს კონკურენციული წესრიგის სასარგებლოდ. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა ადმინისტრაციულ-დირექტიულ მოდელთან მიმართებაში სწორედ კონკურენციული წესრიგის არსებობაში გამოიხატება. ამასთან, ჯანსაღი კონკურენცია განაპირობებს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, საზოგადოებრივი კეთილდღეობის პოტენციური “დანაკარგების” (სიკეთე, რომელიც შესაძლებელია შეიქმნას, მაგრამ არ იქმნება საბაზრო კონცენტრაციის მაღალი დონისა და შესაბამისად მონოპოლიზაციის ხარისხის ზრდის გამო) თუ სრულ ლიკვიდაციას არა, მაქსიმალურად შემცირებას მაინც.

კონკურენციული წესრიგის დასამყარებლად კი აუცილებელია ჩამოყალიბდეს ქვეყნის საკონკურენციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები როგორც მოკლევადიანი, ისე საშუალოვადიანი და შედარებით გრძელვადიანი პერსპექტივისათვის. სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს ამ პოლიტიკის საერთაშორისო ასპექტებს საერთაშორისო კონკურენციის სპეციფიური თავისებურებების გათვალისწინებით, სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და მსოფლიო ბაზარზე მისი შეღწევისა და დამკვიდრების ინტერესებიდან გამომდინარე. ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის ბაზარზე კონკურენციული გარემოს ფორმირებასა და მის სათანადოდ დაცვას. სადაო არაა, რომ ბოლო პერიოდში უცხოური კაპიტალის მოსაზიდად და

ინვესტირებისათვის გაჩაღებულ კონკურენციულ ბრძოლაში გადამწყვეტ უპირატესობას იღებენ ის ქვეყნები, რომელთა საკონკურენციო პოლიტიკა, კონკურენციული კანონმდებლობა და კონკურენციული გარემო არადისკრიმინაციულია და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ უცხოური ინვესტიციებისათვის და უცხოელი მეწარმეებისათვის კანონმდებლობით შეიქმნას უფრო კეთილსასურველი სამეწარმეო გარემო (რისი მცდელობაც იყო ჩვენს ქვეყანაში 12-14წლის წინ), ვიდრე ადგილობრივთათვის. უბრალოდ, აუცილებელია ჩამოყალიბდეს ზოგადად ბიზნესისა და ინვესტირებისათვის მაქსიმალურად და ერთნაირად ხელშემწყობი გარემო როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტირებისათვის.

წინამდებარე წიგნში განხილულია რიგი კონკრეტული ეკონომიკური პრობლემებისა და განვითარების მიმართულებებისა, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული კონკურენციის სფეროს; გაანალიზებულია საქართველოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკისა და კონკურენციული კანონმდებლობის წარმოქმნის და განვითარების დინამიკა; შეფასებულია თანამედროვე მდგომარეობა კონკურენციული ურთიერთობების თეორიისა და საკანონმდებლო პრაქტიკის თვალსაზრისით; შედარებითი ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია მათი სრულყოფის აუცილებლობა და წარმოდგენილია სრულყოფის ძირითადი მიმართულებები.

თავი 1.

მონოპოლიური მდგომარეობა და მონოპოლიური საქმიანობა; სახელმწიფო რეგულირების სამართლებრივი ასპექტები

ნაშრომის ამ ნაწილში განსაზღვრულია კონკურენციის განვითარების როლი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დასაბუთებულია მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვის, სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციული ეკონომიკური პოლიტიკისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების სისტემის შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობა. დასაბუთებულია ანტიმონოპოლიური (კონკურენციული) კანონმდებლობის შექმნის ეკონომიკურ-სამართლებრივი ასპექტები.

წარმოდგენილია აღნიშნული კანონმდებლობის გენეზისი საქართველოში და კონკურენციის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის სფეროებში სახელმწიფოს ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, კანონმდებლობათა აღსრულებისათვის აუცილებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის მოკლე დახასიათება (აქ ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საქართველოს კანონზე “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ”, რომელიც ქრონოლოგიურადაც წინ უსწრებდა ყველა სხვა კანონებს, რომლებიც შედიან საკონკურენციო კანონმდებლობაში და რომელიც თავისი შინაარსით ბევრად უფრო ადეკვატურად პასუხობდა კონკურენციის სფეროში აღიარებულ საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს, ვიდრე 2005 წლიდან მოქმედი კანონი “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ”)

1.1. მონოპოლიური მდგომარეობის ცნება

საბაზრო ურთიერთობათა სისტემის რეგულირება, რომლის ფორმირებაც ხდება დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში, ხორციელდება როგორც სტიქიურად, ისე მიზანმიმართულად. სტიქიური რეგულირება (ანუ თვითრეგულირება) ეფუძნება ობიექტურ ეკონომიკურ კანონებს, პირველ რიგში კი მოთხოვნა-მიწოდების კანონს. აღიარებულია, რომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების თვალსაზრისით ამ კანონების ზემოქმედებას ყოველთვის არ მოყვება სასურველი დადებითი ეფექტი. ამიტომ საბაზრო სტიქიის ნეგატიურ გამოვლინებათა შემცირების მიზნით

აუცილებელია თვითრეგულირების კორექტირება და მისი მიზანმიმართული ზემოქმედების ზომებით შევსება. ასეთი ზეგავლენა ხორციელდება ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების დახმარებით, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს სამართლებრივი ანტიმონოპოლიური რეგულირება. მისი უმთავრესი დანიშნულებაა კონკურენციის სტიმულირება, ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა მხრიდან კონკურენტული ბრძოლის მექანიზმის ხელმყოფი სამართალსაწინააღმდეგო საქმიანობის თავიდან აცილება და აღკვეთა. მიზეზს, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს მხრიდან ანტიმონოპოლიური რეგულირების ზომების რეალიზებას, წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობათა კონკურენტული საფუძვლების მხარდაჭერის აუცილებლობისადმი საჯარო ინტერესი.

სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის მხარდაჭერა ობიექტურად ქმნის მონოპოლიის განვითარების წინაპირობებს. ამგვარი პარადოქსალური ურთიერთკავშირი შემხნეულია ჯერ კიდევ ეკონომიკური თეორიის კლასიკოსების მიერ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მონოპოლიის ნიშნებით ტრესტების უმრავლესობა იქმნებოდა დამოუკიდებელ საწარმოთა შეერთების გზით. ამიტომ აუცილებელია, რომ სახელმწიფომ არამარტო ხელი შეუწყოს კეთილსინდისიერ კონკურენციას, არამედ აღკვეთოს ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მიმართულია მონოპოლიზირებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაკენ.

ახლა განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს მონოპოლიური მდგომარეობა და მონოპოლიური საქმიანობა, რა აქვთ საერთო და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაში გამოიხატება მონოპოლიის ნეგატიური თვისებები და რა ზომები უნდა იქნეს გატარებული, რომ არ შეიზღუდოს კონკურენცია.

ბაზარი, რომელზეც მოქმედებს მხოლოდ ერთი გამყიდველი, იწოდება მონოპოლიად. მონოპოლიური ძალაუფლება ასეთ გამყიდველს საშუალებას აძლევს შეზღუდოს წარმოება და პროდუქციის გამოშვება, აამაღლოს ფასი და ამით მოახდინოს მოგების მაქსიმიზირება. მონოპოლისტის ამგვარი მოქმედება განაპირობებს სიმდიდრის გადატანას მომხმარებლისაგან გამყიდველისაკენ, ამცირებს ამ უკანასკნელის მოტივაციას დანერგოს სიახლე წარმოებაში ან გაადიდოს მისი ეფექტიანობა. მონოპოლიური ბაზარი ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

- ბაზარზე მოქმედებს ერთი გამყიდველი;
- გამყიდველის პროდუქცია უნიკალურია, ამიტომ მომხმარებელს არა

- აქვს საშუალება იგი შეცვალოს რაიმე სხვა მსგავსი საქონლით;
- არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერები, რომლებიც სხვა ფორმებს არ აძლევენ საშუალებას შევიდნენ ამ ბაზარზე. ასევე გაძნელებულია ამ ბაზრის დატოვება (გამოსვლა).

ამ პირობების ცოდნა მნიშვნელოვანია გამყიდველის მონოპოლიური ქცევის აღბათობის პროგნოზირებისას. თუმცა, თავისთავად ისინი არ განსაზღვრავენ /არ ადასტურებენ/ იმას, რომ აუცილებელად ექნება ადგილი მონოპოლიურ ქცევას შესაბამისი შედეგებით.

თუ მონოპოლისტი არ იყენებს ფასობრივი დისკრიმინაციის მეთოდს, რაც თავის მხრივ აკრძალულია უმრავლესი ქვეყნების საკონკურენციო კანონმდებლობით, მაშინ პროდუქციის რაოდენობის გადიდებისას, იგი იძულებული იქნება შედარებით დაბალი ფასი დააწესოს არა მხოლოდ დამატებით გამოშვებულ პროდუქციაზე, არამედ გასაყიდი საქონლის მთლიან რაოდენობაზე. ანუ მონოპოლისტს დამატებითი გაყიდვა შეუძლია განახორციელოს ფასების შემცირებით მთელ გამოშვებულ პროდუქციაზე.

მონოპოლისტი დგება არჩევანის წინაშე - ან გააღიდოს წარმოება და შეამციროს ფასი, ანდა გამოუშვას საქონლის შედარებით ნაკლები რაოდენობა უფრო მაღალ ფასად. ბაზარზე განსაკუთრებული მდგომარეობა განსაზღვრავს მის გადაწყვეტილებასაც. მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი, სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფასწარმოქმნის შედეგების საპირისპიროდ, როგორც წესი, მოგების მაქსიმიზირებას ახდენს პროდუქციის რაოდენობის შეზღუდვის და ფასების ზღვრულ დანახარჯებზე ზემოთ დადგენის საშუალებით. აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოგების მაქსიმიზირება ფასების ზრდის საშუალებით არაეფექტურია, რადგან მომხმარებელი შეიძენს პროდუქციის შედარებით ნაკლებ რაოდენობას და შედეგად ეკონომიკური აგენტის ჯამური მოგება შემცირდება. მეორეს მხრივ, მონოპოლისტი საქონლის გამოშვებას ადიდებს მხოლოდ იმ დონემდე, სანამ ხდება მისი მოგების ზრდა.

ეკონომიკურ თეორიაში ამ დებულებას მივყავართ ძალიან მნიშვნელოვან დასკვნამდე. როგორც ძალაც არ უნდა გააჩნდეს მონოპოლისტს ბაზარზე, მისი შესაძლებლობები ფასების გაზრდის თვალსაზრისით შეზღუდულია რეალური მოთხოვნის სიდიდით; ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მონოპოლიას არ შეუძლია დააწესოს იმაზე მაღალი ფასი, ვიდრე ამ საქონელზე შეუძლია გადაიხადოს მომხმარებელმა.

ამდენად, თვით ტოტალურ მონოპოლიურ ძალაუფლებასაც კი არ შეუძლია მუდმივად იარსებოს, რადგან გრძელვადიანი პერიოდისთვის ყოველთვის გამოჩნდება ამ საქონლის რაიმე ეფექტური შემცველი და მომხმარებელი გადაერთვება მის მოხმარებაზე. ამგვარად, ეკონომიკურ თეორიაში ხაზგასმულია, რომ მონოპოლიური ძალაუფლება აბსოლუტურს არ წარმოადგენს და ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მისი დონისა და ხარისხის შესახებ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღეისათვის რეალური ბაზრები იმყოფებიან ორ უკიდურესობას, ანუ სრულყოფილ კონკურენციასა და მონოპოლიას შორის. ეკონომიკურსა და იურიდიულ ლიტერატურაში “მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა” გამოიყენება ფირმის, გაერთიანების ან ორგანიზაციის ისეთი განსაკუთრებული მდგომარეობის მიმართ კონკურენტულ სასაქონლო ბაზარზე, რომელიც მას აძლევს შესაძლებლობას გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს ბაზარზე საქონლის ბრუნვის საერთო პირობებზე /დათრგუნოს კონკურენცია, არეგულიროს მიწოდებათა მოცულობა და პირობები, განსაზღვროს ფიქსირებული ფასები, რითაც ზიანს აყენებს მომხმარებელს/ ან გაართულოს ამ ბაზარზე სხვა ეკონომიკური აგენტების შეღწევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკურ აგენტს მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა უკავია, თუ მას ამ საქონლის ბაზარზე შეუძლია იმოქმედოს, ძირითადად კონკურენტებისაგან დამოუკიდებლად, ანუ თუ მას გააჩნია “ძალაუფლება” ბაზარზე.

სასაქონლო ბაზარი, სადაც მოქმედებს მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი, როგორც წესი, წარმოადგენს ოლიგოპოლიას, რადგან იქ მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა რიცხვი მცირეა. მაგრამ იგი ასიმეტრიული ოლიგოპოლიაა იმის გამო, რომ მონაწილე ფირმები უმრავლეს შემთხვევაში არ წარმოადგენენ დაახლოებით ერთი ზომისასაც კი.

მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენენ საბაზრო წილი, ბაზარზე შეღწევის ბარიერები და მოწინააღმდეგეთა შესაძლო რეაქცია. საჭიროა აღინიშნოს, რომ თავისთავად დიდი საბაზრო წილის არსებობა, ანდა ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა არ განიხილება და არც შეიძლება განიხილებოდეს როგორც კანონსაწინააღმდეგო, რამდენადაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში თითოეული მეტნაკლებად ამბიციური

ეკონომიკური აგენტის ბუნებრივი სწრაფვა წარმოების მასშტაბების ზრდისა და მოგების მაქსიმიზირებისაკენ, წარმატების შემთხვევაში იწვევს მათ მონოპოლიურ (დომინირებულ) მდგომარეობას ბაზარზე. მით უმეტეს ისეთ მცირე ზომის ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც უმრავლეს კაპიტალტევად სამრეწველო ხასიათის დარგებში პრაქტიკულად შეუძლებელია კონკურენციის ჯეროვანი განვითარება.

საქართველოში, ისევე როგორც უმრავლეს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, კატეგორიულად იკრძალება ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური საქმიანობა. ეს უკანასკნელი კი საქართველოს კანონის “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” შესაბამისად ისეთი საქმიანობაა, რომელიც ეკონომიკურ აგენტს საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს სასაქონლო ბაზარზე ურთიერთშენაცვლებადი /კონკურენტული/ საქონლის საბაზრო ფასზე და შეზღუდოს კონკურენცია.

რადგან მონოპოლიური საქმიანობის პოტენციური შესაძლებლობა გააჩნია მხოლოდ მონოპოლიური /დომინირებული/ მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტებს, ისინი კონკურენციის ორგანოების განსაკუთრებული ინტერესის სფეროში უნდა იმყოფებოდნენ და მათი საქმიანობა მუდმივი მონიტორინგის საგანს წარმოადგენდეს, რათა არ მოხდეს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და არ განხორციელდეს მონოპოლიური საქმიანობა კონკურენციის აღკვეთის ან შეზღუდვის ხარჯზე.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს ისეთი ბაზარი, სადაც არ არსებობს კონკურენცია და არც შეიძლება არსებობდეს. ესენია ე.წ. ბუნებრივი მონოპოლიები, ანუ “სასაქონლო ბაზრის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ამ ბაზარზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე /წარმოების მასშტაბების გაფართოების შესაბამისად პროდუქციის ერთეულზე საწარმოო დანახარჯების არსებით შემცირებასთან დაკავშირებით/ უფრო ეფექტურია კონკურენციის არარსებობის პირობებში, ხოლო ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების მიერ წარმოებული საქონელი შეუძლებელია მოხმარებისას შეიცვალოს სხვა საქონლით, რის გამოც მოთხოვნილება ბუნებრივი მონოპოლიის პროდუქციაზე, სხვა სახის საქონელზე მოთხოვნილებასთან შედარებით, ნაკლებად არის დამოკიდებული ამ საქონლის ფასის ცვლილებებზე. არაკონკურენციულ სფეროებში მომხმარებელთა უფლებებისა და სხვა

კონკურენციული დარგების ეკონომიკურ აგენტთა უფლებების დაცვის მიზნით ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტები საქართველოში იმყოფებიან დარგობრივი ეროვნული მარეგულირებელი კომისიების (აღრე კი ასევე სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის) მუდმივი ზედამხედველობისა და რეგულირების ქვეშ, რომლებიც ახორციელებენ უპირველეს ყოვლისა კოორდინირებულ სატარიფო პოლიტიკას (ბუნებრივი მონოპოლიებისა და ე.წ. “საბაზრო მონოპოლიები”-ს თაობაზე უფრო ქვემოთ, ცალკე 3.2 განყოფილებაში იქნება მსჯელობა).

1.2. კონკურენციული გარემოსა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზა

ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის, ასევე მომხმარებელთა უფლებების ჯეროვანი დაცვისათვის აუცილებელია სათანადო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის ფორმირება და შემდგომი სრულყოფა საბაზრო რეფორმების შესაბამისად.

კონკურენციულ კანონმდებლობას საფუძველი ჩაეყარა აშშ-ში 1890 წლიდან შერმანის აქტის მიღებით. მისი შექმნა მოამზადა ეკონომიკური და სამართლებრივი ხასიათის მიზეზებმა. ეკონომიკური თვალსაზრისით ანტიმონოპოლიური /ანტიტრესტული, კონკურენციული/ კანონმდებლობის წარმოქმნა განაპირობა კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებაში მომხდარმა ხარისხობრივმა ცვლილებამ - თავისუფალი კონკურენციის ეპოქის მონოპოლიურით შეცვლამ. მონოპოლიური გაერთიანებების - ტრესტების შექმნისა და საქმიანობის დასაწყისშივე ცხადი გახდა მათი დამანგრეველი ზემოქმედება როგორც ეკონომიკაზე, ისე საზოგადოების პოლიტიკურ მდგომარეობაზე. კანონი აშშ-ის კონგრესმა მიიღო ამერიკული საზოგადოებრიობის და უპირველეს ყოვლისა ფერმერებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა მხრიდან ძლიერი დაწოლის შედეგად, რომელთაც გაუჩნდათ საფუძვლიანი შიში კომპანიათა მცირე ჯგუფის ხელში საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციის გაძლიერების მიმართ,

რაშიც ხელავენ საფრთხეს მეწარმეობისა და საერთოდ დემოკრატიისათვის.

კანონმდებლობის წარმოშობის მეორე ძირითადი მიზეზი აიხსნება ზოგადი სამოქალაქო სამართლის გარკვეული შეზღუდულობით და იმ ფაქტით, რომ მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით მონოპოლიზების პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების ზომები აშკარად არაადეკვატური და არასაკმარისი იყო. ეს კი მოითხოვდა კონკურენტული სამართლის გამოყოფას სამოქალაქოდან და ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრირებას კონკურენციის საკითხებზე.

განვლილი თითქმის 120 წლის განმავლობაში თვით აშშ-ში ანტიტრესტული კანონმდებლობა ხარისხობრივად შეიცვალა, იგი უფრო მოქნილი და მიზანმიმართული გახდა და შეიძინა სისტემური ხასიათი. უმრავლეს ქვეყნებში საკონკურენტო კანონმდებლობა წარმოადგენს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კომპლექსს, რომელიც მიღებულია კონკურენტული პოლიტიკის გატარების მიზნით. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ არის ურთიერთდაკავშირებული ზომების სისტემა, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს მონოპოლიზმის შეზღუდვის, კონკურენციის განვითარებისა და მომხმარებელთა დაცვის მიზნით.

საკონკურენტო კანონმდებლობა, როგორც წესი, მოიცავს მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის რეგულირების სამ ძირითად ზომას /პროცედურას/: შემზღუდავს, გამაფრთხილებელს და აღმკვეთს.

აშშ-ის შემდეგ სხვადასხვა დროს საკონკურენტო კანონმდებლობა მიღებულ იქნა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. იაპონიაში ამერიკული საოკუპაციო ხელისუფლების ინიციატივით შემუშავებული კანონი კერძო მონოპოლიების აკრძალვის შესახებ მიღებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ 1947 წელს. მისი მიღება იაპონური “ეკონომიკური სასწაულის” მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორად იქცა.

დღეისათვის საბაზრო ეკონომიკის უმრავლეს ქვეყნებს აქვთ თავიანთი საკონკურენტო წესები: დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ისინი გაერთიანებულია ცნებაში “კონკურენტული სამართალი”, აშშ-ში გამოიყენება ანტიტრესტული, ხოლო დსთ-ს ქვეყნებში – ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საკონკურენციო ეროვნული მოდელები განსხვავდებიან არა მარტო ტერმინოლოგიით, არამედ თავისი მიმართულებით, შინაარსით, პროცესუალური და სხვა ასპექტებით.

ჩვეულებრივ ანსხვავებენ საკონკურენციო კანონმდებლობის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს. პირველი მათგანი /მისი ყველაზე ნათელი გამოვლინებაა აშშ-ის ანტიტრესტული კანონმდებლობა/ გამოდის ყველა მონოპოლიის აპრიორულად არასამართლებრიობის პრინციპიდან. ანტიტრესტულ კანონმდებლობაში ჩართულია აგრეთვე ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ. ეს მოდელი, გარდა აშშ-ისა, მოქმედებს კანადაში, იაპონიაში, არგენტინაში.

საკონკურენციო კანონმდებლობის ევროპული მოდელი მიმართულია მონოპოლიური /დომინირებული/ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების და საერთოდ მონოპოლიური საქმიანობის წინააღმდეგ, მონოპოლიებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფისაკენ; ამასთან, თვით მონოპოლიები არ ითვლებიან არამართლზომიერად. ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ევროპულ მოდელში გამოყოფილია ცალკე, დამოუკიდებელ ნაწილად /ცალკე კანონის რეგულირების სფეროდ/. აღნიშნული მოდელი გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და ევროპის რიგ ქვეყნებში, ასევე ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

შუალედური მდგომარეობა ამ ორ მოდელს შორის უჭირავს გერმანიის ანტიკარტელურ სამართალს, რომლის მიხედვითაც მართალია მონოპოლიები ცხადდება არამართლზომიერად, მაგრამ არსებობს გამონაკლისების დიდი რიცხვი ამ პრინციპებიდან.

აღიარებულია, რომ საკონკურენციო კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზებისას ჩამოყალიბდა პროცედურების ორი ჯგუფი – ადმინისტრაციული და სასამართლოს მეშვეობით. ადმინისტრაციული პროცედურების ჩარჩოებში, რომელიც უპირატესად გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ეკონომიკურ აგენტებს შორის წარმოქმნილ დაგებს განიხილავს სპეციალურად შექმნილი კომპეტენტური ორგანო, რომლის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, ხოლო ისეთ ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ესპანეთი), სადაც უპირატესობა ენიჭება სასამართლო პროცედურებს, გადაწყვეტილებებს იღებენ უშუალოდ სასამართლოები. ადმინისტრაციული

ორგანოები იხილავენ საჩივრებს, დამრღვევ მოპასუხე მხარეს სთავაზობენ (მოსთხოვენ) არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის ნებაყოფლობით აღკვეთას, აღძრვენ საქმეს სასამართლოში. ამ ორგანოებს უფლება აქვთ გასცენ რეკომენდაციები, რომელთა შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს სასამართლო განხილვის საფუძველი, ასევე განახორციელონ მოლაპარაკებები დაპირისპირებულ მხარეებს შორის დავების დასარეგულირებლად.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საკონკურენციო კანონმდებლობის განვითარება მიდის დაახლოებისა და უნიფიცირების გზით როგორც ცალკეულ ქვეყნებში, რომლებმაც მიიღეს ესა თუ ის მოდელი, ასევე განსხვავებათა წაშლის გზით საკუთრივ ამ ორ მოდელს შორის.

ეკონომიკური და სამართლებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ფონზე დღის წესრიგში დგება კონკურენციის წესების, კონკურენციის პოლიტიკის ერთიანი ნორმებისა და მიდგომების შექმნის აუცილებლობის საკითხი. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით გადაიდგა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ჩარჩოებში; კერძოდ, 1957 წლის რომის შეთანხმების საფუძველზე მიღებული იქნა ამ გაერთიანების ყველა ქვეყნისათვის ერთიანი საკონკურენციო წესები, შეიქმნა შესაბამისი ორგანიზაციული საფუძვლები მათი რეალიზებისათვის. საერთო ევროპულ დონეზე კონკურენციის წესების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა ევროპულ გაერთიანებათა კომისიას. ეს კომისია მჭიდროდ თანამშრომლობს გაერთიანების წევრი ქვეყნების კონკურენციის ორგანოებთან. გარდა ამისა, იგი მეთოდურ და საკონულტაციო დახმარებას უწევს ყველა სხვა ქვეყნის შესაბამის დაინტერესებულ უწყებებსაც.

როგორც შესავალში იყო აღნიშნული, საქართველოში კონკურენციული ურთიერთობების რეგულირებას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას პრაქტიკულად სამართლებრივი საფუძველი ჩაეყარა 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს მიერ “მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ” დეკრეტის მიღებით.

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ”, რომელიც კონკურენციული პოლიტიკის სფეროში ძირითად საკანონმდებლო აქტს /სხვაგვარად ჩარჩო კანონს/ წარმოადგენდა და რომლის მიზანი იყო სამეწარმეო საქმიანობის

ხელშეწყობა, კონკურენციული გარემოს ფორმირებისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, კანონი ცალსახად კრძალავდა მონოპოლიურ საქმიანობას. ამასთან, კანონი განსაზღვრავდა ეკონომიკური აგენტის პასუხისმგებლობას მის მიერ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის და სხვა ქმედებებისათვის, რაც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა ბაზარზე.

ცნობილია, რომ კონკურენციის განვითარება და დაცვა, მასზე ზრუნვა უპირველეს ყოვლისა ემსახურება მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და მათი ინტერესების წინა პლანზე დაყენებას. ეს აქსიომატური დებულება დაფიქსირებულ იყო კანონში “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ”. იმავედროულად, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე და იმასთან დაკავშირებით, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვა წარმოადგენს მეტად ფართო და სოციალური თვალსაზრისით უაღრესად საპასუხისმგებლო სფეროს, 1996 წელს მიღებულია ცალკე კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეკონომიკურ, სამართლებრივ და სოციალურ საფუძვლებს. ეს კანონი და მის შესაბამისად გამოცემული ნორმატიული აქტები განსაზღვრავდნენ მომხმარებელთა უფლებებს და მათი დაცვის წესებს საქონლის გაყიდვისას, სამუშაოთა შესრულებისას და მომსახურების გაწევისას. კანონის შესაბამისად მომხმარებელთა უფლებების დაცვას ახორციელებენ როგორც სახელმწიფო ორგანოები, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სახელმწიფო კონტროლი და კოორდინაცია კანონის აღსრულებაზე დაკისრებული ჰქონდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს (სამწუხაროდ, 2005 წლიდან “მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ” კანონის აღსრულების კონტროლი და კოორდინაცია აღარ აკისრია არცერთ სახელმწიფო ორგანოს იმ მოტივაციით, რომ დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში მომხმარებელს თავისი უფლებების დაცვა თითქოსდა თითონ შეუძლია დამოუკიდებლად სასამართლოს მეშვეობით, რაც დღეისათვის, მოქალაქეთა საზოგადოებრივი აქტიურობისა და საერთო მენტალიტეტის გათვალისწინებით შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, გაუქმებულია კანონის შესაბამისად შემუშავებული და სამოქმედოდ შემოდებული

კანონქვემდებარე 25 ნორმატიული აქტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში).

კონკურენციის კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა (ბევრ ქვეყანაში დღესაც ასეა) კანონი “რეკლამის შესახებ” /მიღებულია 1998 წელს/, რომლის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება /რაც თავისთავად საერთოდ კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებაზე მოქმედებს/, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა.

საკონკურენციო კანონმდებლობას მიეკუთვნებოდნენ (დიდი ნაწილი დღესაც მიეკუთვნება) სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა და სამოქალაქო კოდექსის, ასევე, ცალკეული კანონების ის ნაწილები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან კონკურენციის სფეროს, ამავე პრობლემატიკაზე საქართველოს პრეზიდენტის რიგი ბრძანებულებებისა და იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის დადგენილი წესით რეგისტრირებული ბრძანებები. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით დამტკიცდა დებულება “ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების რეგულირებისა და დანახარჯების კონტროლის შესახებ”, ხოლო 2000 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულებით დებულება “საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ”.

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 იანვრის ბრძანებულებით დამტკიცდა ინსტრუქცია “საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შემოწმების მოწყობის შესახებ”, რომელმაც მოახდინა ანტიმონოპოლიური, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის სფეროში არსებულ კანონმდებლობის შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის სრულყოფა და მისი სამართლებრივი რეგლამენტაცია.

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის ბრძანებებით დამტკიცდა საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტებისა და ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების სახელმწიფო რეესტრის ფორმები /25.10.2000/ და შესაბამის სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის)

მონოპოლიური მდგომარეობის განმსაზღვრელი წილი /12.12.2000/, რომლის კომპეტენცია კანონის შესაბამისად მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს.

ორგანიზაციული თვალსაზრისით, საქართველოში კონკურენციული გარემოს ფორმირება და დაცვა, სარეკლამო საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მომხმარებელთა უფლებების დაცვა ევალბოდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს და მის ტერიტორიულ ქვედანაყოფებს, რომელიც ამ სტატუსით ჩამოყალიბდა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულებით. უფრო ადრე, კერძოდ 1992 წლის თებერვალში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის წარმართვის მიზნით საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში შეიქმნა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სამმართველო, რომელსაც დაეკისრა ქვეყნის ანტიმონოპოლიური ორგანოს ფუნქციები. შემდგომში ამ ორგანოს ფუნქციონალური დატვირთვის ზრდის შესაბამისად იგი გადაკეთდა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარ სამმართველოდ /1995წ/, ხოლო უფრო მოგვიანებით /1996წ/, ეკონომიკის სამინისტროს ანტიმონოპოლიურ სამსახურად.

1.3. საქართველოს სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის ამოცანები, მისი განმახორციელებელი ორგანოს ფუნქციები და უფლებამოსილებები

კონკურენციის პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთის მხრივ გამოყენებულ იქნეს მაღალი ეფექტიანობის მქონე მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკის უპირატესობები, ხოლო მეორეს მხრივ განხორციელდეს კონკურენციის განვითარებაზე მისი შესაძლო ნეგატიური ზეგავლენის განეიტრალება. მის ძირითად მიმართულებებს შეადგენს კონკურენციის სტიმულირება და კონკურენციული გარემოსათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ანტიმონოპოლიური რეგულირება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

ქვეყანაში სწორი საკონკურენციო პოლიტიკის განხორციელება, როგორც წესი, ეკისრება ხოლმე შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში წარმოდგენილია სამინისტროების, კომიტეტების, კომისიების, საბჭოების თუ სააგენტოების სახით. საქართველოში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის წარმართვა და საკონკურენციო კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზაცია ვგალებოდა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს,

კანონის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური იყო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის უფროსსაც მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავდა და თანამდებობიდან ათავისუფლებდა საქართველოს პრეზიდენტი, რეგიონული სტრუქტურების (ავტონომიურ რესპუბლიკებში – ავტონომიური რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური სამსახური, ხოლო ქ. თბილისსა და მხარეებში სამხარეო მოწყობის შესაბამისად – ანტიმონოპოლიური ბიუროები) უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავდა და თანამდებობიდან ათავისუფლებდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელ ორგანოებთან შეთანხმებით.

ანტიმონოპოლიური სამსახურის ტერიტორიული ორგანოები არ შედიოდნენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სისტემაში, თუმცა კი თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით მჭიდროდ თანამშრომლობდნენ მათთან. ტერიტორიული ორგანოების შენახვის სახსრები გათვალისწინებული იყო ცენტრალური ბიუჯეტით. ამგვარად, ტერიტორიული ორგანოების სტრუქტურა, კადრების დანიშვნა და დაფინანსება აწყობილი იყო, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ერთიანი სისტემა, რომელსაც ეკისრებოდა ერთიანი საკონკურენციო პოლიტიკის გატარების ამოცანა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილებები კონკურენციული პოლიტიკის სფეროში განსაზღვრული იყო “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 და 21-ე მუხლებითა და

სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებდა საქართველოს პრეზიდენტი.

ქვეყნის ერთიანი საკონკურენციო პოლიტიკა განსაზღვრავდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ცენტრალური აპარატისა და რეგიონული ორგანოების საქმიანობის ძირითად ამოცანებს და მიმართულებებს:

- საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენციის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათ დაცვაზე კონტროლის განხორციელება;

- მონოპოლიური საქმიანობისა და მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა;

- ბუნებრივ მონოპოლიათა საქმიანობის რეგულირება;

- არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით წინადადებების შემუშავება და წინასწარი ღონისძიებების გატარება;

- მომხმარებელთა უფლებების დაცვა და მათზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

- კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის სფეროებში;

- ანტიმონოპოლიური, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის შესახებ კანონმდებლობათა დარღვევის ფაქტების გამოვლენა, განხილვა და კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

აღნიშნული ამოცანებისა და საქმიანობის ძირითად მიმართულებათა განხორციელებისათვის სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურს მინიჭებული ჰქონდა შესაბამისი უფლებამოსილებანი. კერძოდ, კანონის თანახმად, მისი უფლებები შემდეგში გამოიხატებოდა:

- “-დასვას საკითხი შესაბამისი ორგანოების წინაშე იმ ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ, რომელიც დაარღვევს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას;

- მოსთხოვოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დამრღვევ ორგანოს მის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება.

წინააღმდეგ შემთხვევაში დასვას საკითხი შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე;

-მოსთხოვოს ეკონომიკურ აგენტს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევით დადებული ხელშეკრულებისა და მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში;

-ეკონომიკური აგენტის მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტისა და მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ დასაბუთებული ეჭვის არსებობისას ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია ეკონომიკური აგენტისაგან მოითხოვოს ცნობები მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო ურთიერთობების შესახებ და გაეცნოს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას;

-სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეამოწმოს და ამოიღოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

-ანტიმონოპოლიურ სამსახურს უფლება აქვს დააყენოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დამრღვევი თანამდებობის პირის ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი;

-სადმინისტროებს, სხვა სახელმწიფო უწყებებსა და დაწესებულებებს, ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელ ორგანოებს მოსთხოვოს ნებისმიერი მისთვის საჭირო ინფორმაცია. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში დააყენოს ამ თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული ან დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი.

ამასთან, თუ მოთხოვნიდან 30 დღეში შესაბამისი სახელმწიფო ორგანო ან ეკონომიკური აგენტი არ მიაწოდებს სამსახურს საჭირო ინფორმაციას, ამ უკანასკნელს უფლება აქვს გადაწყვეტილება მიიღოს მის ხელთ არსებული ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე;

-თუ ანტიმონოპოლიური სამსახური დაადგენს ეკონომიკური აგენტის მიერ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტს, მას შეუძლია დაავადებულს ეკონომიკური აგენტი, რათა აღკვეთოს არსებული მდგომარეობა;

-მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ სხვა ეკონომიკური აგენტის აქციების ან წილის შექენისას საჭიროა ანტიმონოპოლიური სამსახურის საქსპერტო დასკვნა;

-განახორციელოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესრულების სახელმწიფო კონტროლი და ამ სფეროში მოქმედი მაკონტროლებელი ორგანოების კოორდინაცია;

-არეგულიროს სარეკლამო საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე და განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დაცვაზე;

-განიხილოს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა განცხადებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

-თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცეს ოფიციალური განმარტებანი საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით.”

აღსანიშნავია, რომ კანონის შესაბამისად ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულო იყო როგორც ეკონომიკური აგენტისთვის, ისე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილებები და კომპეტენცია შემოფარგლული იყო იმ ტერიტორიული საზღვრებით, რომლებშიც ისინი მოქმედებდნენ. ამასთან, ის საქმეები და კანონდარღვევები, რომლებიც სცდებოდნენ ერთი ტერიტორიული ერთეულის საზღვრებს, ხდებოდა უშუალოდ ცენტრალური აპარატის განხილვის საგანი.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ბაზარზე კონკურენციული სამართლის ნორმების დაცვის უზრუნველყოფა უპირველეს ყოვლისა ხორციელდება ეკონომიკური აგენტების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და მათი თანამდებობის პირების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა ნებაყოფლობით შესრულების მეშვეობით. იმ შემთხვევებში, როცა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ირღვეოდა ან არ სრულდებოდა, მის დაცვას უზრუნველყოფდა იძულებითი პროცესუალური ნორმები, რომლებიც განეკუთვნებოდა როგორც ადმინისტრაციულ, ისე სისხლის სამართლებრივ კანონდარღვევებს. ამ მიზნით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილ იქნა რიგი ცვლილებებისა და

დამატებებისა, რომლებიც ითვალისწინებდნენ (მუხლები 153, 158, 158¹, 159, 159¹, 159², 159³, 159⁴ და 173⁵) შესაბამის სასჯელს (დაჯარიმებას) მეწარმე სუბიექტების მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევისათვის, სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენებისათვის, მომხმარებლის უფლებების შელახვისათვის, რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევისათვის, არასათანადო რეკლამის განთავსებისათვის (გავრცელებისათვის), ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამდებობის პირთა მიწერილობის შეუსრულებლობისათვის, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობისათვის, ჩვილ ბავშვთა ხელოვნურად კვების რეკლამისათვის, სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისათვის ხელის შეშლისათვის.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ იყო მკაცრი სასჯელი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვისათვის, სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის უკანონოდ გამოყენებისათვის, აშკარად ყალბი რეკლამის გავრცელებისათვის და ფალსიფიკაციისათვის.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებამოსილი პირები კონკურენციის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის სფეროში კანონმდებლობათა დარღვევისას კანონის შესაბამისად ვალდებულნი იყვნენ შეეცნოთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ხოლო სასამართლო იღებდა გადაწყვეტილებას კანონდამრღვევებზე ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე. ამასთან, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილი იყო მიემართა პროკურატურისა და უწყებრივი ქვემდებარეობის შესაბამისად სხვა სამართალდამცავი ორგანოებისათვის კომპეტენციის სფეროში დანაშაულის შემადგენლობის მიხედვით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე.

დღეისათვის (2005წლიდან) საქართველოში კონკურენციული პოლიტიკის წარმართვა და კონკურენციული კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზაცია ევალება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს..

ამ სააგენტოს ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და მოვალეობები კონკურენციული პოლიტიკის სფეროში განსაზღვრულია “თავისუფალი

ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონითა და სააგენტოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი.

აღნიშნული ამოცანების განხორციელებისათვის სააგენტოს მინიჭებული აქვს რიგი უფლებამოსილებანი. კერძოდ, კანონის თანახმად “სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიმართ სააგენტო უფლებამოსილია:

ა) წარუდგინოს ამ კანონის დამრღვევ სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიწერილობა მის მიერ მიღებულ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებაზე;

ბ) მოსთხოვოს სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს ამ კანონის დებულებების დარღვევით განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

გ) წარდგენილ მიწერილობაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ შესაბამისი რეაგირების განხორციელებლობის შემთხვევაში დასვას მათი პასუხისმგებლობის საკითხი შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე;

დ) დააყენოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობის დამრღვევი თანამდებობის პირის დისციპლინური, ადმინისტრაციული ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.” ამასთან, ეკონომიკური აგენტების მიმართ, რომლებიც მოქმედებენ რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში, სააგენტო უფლებამოსილია:

“ა) მოსთხოვოს აგენტს ამ კანონის დებულებების დარღვევით განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

ბ) დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე აგენტის მიერ ანალიზის განხორციელების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე;

გ) მოსთხოვოს აგენტს განხორციელებული ქმედების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა;

დ) მიმართოს სასამართლოს აგენტის მიერ ამ კანონის მოთხოვნების დარღვევით განხორციელებული ქმედების ან მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.”

ბაზარზე კონკურენციული სამართლის ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში

შეტანილია მუხლები (159² და 159³), რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამის სასჯელს (დაჯარიმებას). კერძოდ, კანონმდებლობის დარღვევის შეწყვეტის თაობაზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს მიწერილობის შეუსრულებლობა გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას სამასიდან ექვსას ლარამდე, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირებისას – ათასიდან სამი ათას ლარამდე. ხოლო ამ სააგენტოსათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელი როგორც მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვისათვის, ასევე სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენებისათვის.

თუმცა უნდა ითქვას, რომ კანონი “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” არა თუ არ არეგულირებს (ან კრძალავს) მონოპოლიურ საქმიანობას, არამედ მის განმარტებასაც კი არ იძლევა.

და ბოლოს, აუცილებელია აღინიშნოს თვით თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობის ხარისხის შესახებ. კერძოდ, თუ მოხდება კონკურენციის კანონმდებლობის სათანადო სრულყოფა ევროკანონმდებლობასთან მისი დაახლოვებისა და ჰარმონიზაციის გზით (ანუ თუ მასში აისახა კონკურენციული კანონმდებლობისათვის აუცილებელი და საზოგადოდ მიღებული ისეთი საკონკურენციო ნორმები, როგორცაა ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლება და დომინირებული მდგომარეობა, ცალკეულ სასაქონლო ბაზრებზე ბარიერების შექმნა და ფასებით მანიპულირება, ეკონომიკურ აგენტთა ანტიკონკურენციული შეთანხმებები და შერწყმები, ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან დისკრიმინაციული და კონკურენციის შემზღუდავი სხვა ქმედებები, მათ შორის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მეთოდების გამოყენებით) და სააგენტოსათვის დღეისათვის მინიჭებული ილუზორული როლისა და კომპეტენციის ნაცვლად რეალური ფუნქციებისა და რეფორმირებული კონკურენციული კანონმდებლობის შესაბამისი, კონკურენციის სფეროსთვის საზოგადოდ დამახასიათებელი პრობლემატიკის გადასაჭრელად აუცილებელი უფლებამოსილებების მინიჭება, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს

სააგენტოს ბაზაზე მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანოს ფორმირება, როგორც ამას ითვალისწინებს “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-15 მუხლი და რაც ჯერ კიდევ სამი წლის წინ უნდა განხორციელებულიყო, ან უკიდურეს შემთხვევაში სააგენტო გამოყვანილ იქნეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობიდან და საქვეუწყებო დაწესებულების სახით დაექვემდებაროს იუსტიციის სამინისტროს.

თავი 2.

კონკურენციის შეზღუდვის ტიპები, საკანონმდებლო აკრძალვები და რეალიზაციის დიფერენცირებული მექანიზმები

2.1. არჩევანი კონკურენციასა და მონოპოლიზმს შორის – არჩევანი საზოგადოებრივ კეთილდღეობასა და სიღარიბეს შორის

ტრანზიტული ეკონომიკის მქონე ქვეყნების მეურნეობის დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ ისევე როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, კონკურენცია წარმოადგენს რესურსების ეფექტური გამოყენების, მინიმალური საწარმოო დანახარჯების პირობებში ეროვნული სიმდიდრის ზრდის მნიშვნელოვან წინაპირობას. კონკურენცია, რომელიც თავისთავად სტატიკური მოვლენა კი არ არის, არამედ დინამიური და განვითარებადი პროცესია, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში. კონკურენცია, თუ მას არ ეღობება ბარიერები, გამოდის როგორც მთავარი მამოძრავებელი ძალა საწარმოო ძალთა განვითარებისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

სრულყოფილი კონკურენციის ქვეშ იგულისხმება ისეთი ბაზარი, რომლის ფუნქციონირების პირობებს განსაზღვრავს მომხმარებელი. კერძოდ, იწარმოება ის, რაც სჭირდება მყიდველს და საქონელი იყიდება მაქსიმალურად შესაძლებელ დაბალ ფასებში. ბაზარი იმითია ეფექტური, რომ წარმოების ან გასაღების რაიმე კონკრეტულ ცვლილებებს არ შეუძლია გააუმჯობესოს მომხმარებლის ან გამყიდველის მდგომარეობა სხვა რომელიმეს უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩაყენების გარეშე. საზოგადოების კეთილდღეობა მაქსიმუმს აღწევს, რადგან რესურსები გამოიყენება მაქსიმალურად ეფექტიანად, ხოლო პროდუქციის გამოშვება წარმოადგენს ოპტიმალურს.

ცნობილია, რომ ბაზრის ეკონომიკური კანონები ფიასკოს განიცდიან, თუ მათ არ შეუძლიათ უზრუნველყონ საზოგადოების მაქსიმალური კეთილდღეობა და ისეთ შედეგებამდე მივყავართ, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროებზე, ხშირ შემთხვევაში ხდება ბაზრის ან მისი რომელიმე ნაწილის მონოპოლიზება. მონოპოლიზებული ბაზარი კი რადიკალურად განსხვავდება

კონკურენციული ბაზრისაგან; განსხვავებულია რესურსების განაწილება, შემოსავლების განაწილება და საზოგადოების კეთილდღეობისადმი მიდგომაც კი. კერძოდ, მონოპოლიზების დროს, როგორც წესი, ხორციელდება სიმდიდრის გადაღინება მომხმარებლიდან გამყიდველისაკენ, მცირდება პროდუქციის წარმოება, კლებულობს წარმოებაში სიახლეთა დანერგვის მოტივაცია და სწრაფვა ეფექტიანობის გაზრდისაკენ.

თავის თეორიულ კონსტრუქციაში მონოპოლია სრულიად განსხვავდება კონკურენციისაგან საზოგადოების კეთილდღეობასა და რესურსების განაწილების ხასიათზე ზემოქმედებით. მონოპოლიის პირდაპირ ნეგატიურ შედეგებს წარმოადგენს პროდუქციის გამოშვების შემცირება, ფასების ამაღლება და შემოსავლების გადანაცვლება მომხმარებლიდან მწარმოებლისაკენ. დარგის მონოპოლიზაციის შემთხვევაში, როგორც წესი, ფასი იზრდება, ხოლო გამოშვების მოცულობა მცირდება.

კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე ეკონომიკური კონცენტრაციის ზრდის პარალელურად მატულობს მონოპოლიზების დონე, უარესდება კონკურენციის ხარისხი და შესაბამისად ბიზნესის გარემოც. განსაკუთრებით მტკივნეულად რეაგირებენ ბაზრის მონოპოლიზების მიმართ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, რომელთა უდიდესი ნაწილი არასწორი საფასო პოლიტიკისა და შექმნილი ბარიერების გამო კარგავს საშუალებას განაგრძოს მეწარმეობა და იძულებული ხდება დატოვოს ბაზარი; შემთხვევითი არაა, რომ 1890 წელს აშშ-ში პირველი ანტიტრესტული კანონი შერმანის აქტის სახელწოდებით კონგრესის მიერ სწორედ მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა და ფერმერთა დაწოლით იქნა მიღებული, რომელიც თავის მხრივ გამოიწვია ამ უკანასკნელთა საფუძვლიანმა ეჭვმა და შიშმა თავიანთი ბიზნესის პერსპექტივების თაობაზე მსხვილი მონოპოლიური გაერთიანებების შექმნისა და თავისუფალი ფასწარმოქმნის მონოპოლიურით, ხოლო კონკურენციული ბიზნეს-გარემოს დისკრიმინაციულით შეცვლის გამო.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბაზრის მონოპოლიზება ხშირად იწვევს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა გაკოტრებას და ბაზრიდან განდევნას, ამ სფეროში უამრავი დასაქმებულის გადანაცვლებას უმუშევართა რიგებში, რაც უშუალო კავშირშია მათი ოჯახების კეთილდღეობის მაჩვენებლების მკვეთრ შემცირებასთან და სიღარიბის მასშტაბების რადიკალურ ზრდასთან.

მონოპოლისტის გადაწყვეტილებები წარმოების მოცულობის შემცირებისა და ფასების ზრდის შესახებ იწვევს შემოსავლების გადატანას მომხმარებელიდან გამყიდველისაკენ, რაც ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯების უცვლელობის პირობებში უზრუნველყოფს მონოპოლისტის მოგების მნიშვნელოვან გადიდებას და მონოპოლიური ზემოგების მიღებას. აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოგების მაქსიმიზირება ფასების ზრდის საშუალებით არაეფექტურია, რადგან მომხმარებელი შეიძენს პროდუქციის შედარებით ნაკლებ რაოდენობას და შედეგად ჯამური მოგება შემცირდება.

მონოპოლიურ ფასწარმოქმნას მიყვავართ კეთილდღეობის ე.წ. «წმინდა დანაკარგებთან». ესაა დანაკარგები მომხმარებლებისათვის, რომელთაც შეეძლოთ კონკურენციული ფასების პირობებში ეყიდათ ეს საქონელი, მაგრამ მონოპოლიური ფასების დროს იძულებულნი არიან შეიძინონ უფრო დაბალი ხარისხის შემცველი საქონელი, ხოლო “ღარიბთა” კატეგორიაში მყოფებმა საერთოდ უარი თქვეს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ფასის გადამეტება ზღვრული დანახარჯების სიდიდეზე აჩვენებს, რომ პროდუქციის ღირებულება მომხმარებლისათვის, რომელიც აღარ ყიდულობს ამ საქონელს, მეტია მისი წარმოების საზოგადოებრივ დანახარჯებზე. საზოგადოება ამით საზოგადოდ ხდება უფრო **ღარიბი**, რადგან შესაძლებელი იყო, რომ საწარმოო რესურსები გამოყენებულიყო უფრო პროდუქტიულად იმ დარგებში, რომლებიც იძულებული ხდებიან შეამცირონ პროდუქციის რაოდენობა, ვიდრე იმ დარგებში სადაც იწარმოება ამ საქონლის შემცველი შედარებით დაბალი ხარისხის საქონელი. წმინდა დანაკარგები აჩვენებს მონოპოლიის პირობებში რესურსების არარაციონალური განაწილების შედეგად საზოგადოების კეთილდღეობის პოტენციურ დანაკარგებს. პროდუქციის რაოდენობის შემცირებითა და ფასების მნიშვნელოვანი გადიდებით განსაკუთრებით ზარალდება სოციალურად დაუცველი, დაბალშემოსავლიანი ოჯახები, რომელთა დიდი ნაწილი უერთდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის კატეგორიას, ხოლო მეორე ნაწილისთვის კი საგრძნობლად უარესდება ცხოვრების ხარისხი და იქმნება საფრთხე მათი «ღარიბთა» კატეგორიაში გადანაცვლებისა.

მონოპოლიის მავნე შედეგები გამოიხატება არა მხოლოდ რესურსების არაეფექტიან განაწილებაში. ზემოგების მიღების იმედად ცალკეული ფირმები რესურსების დიდ ნაწილს მიმართავენ საქმიანობის

არამწარმოებლურ სახეობებზე, როგორცაა მაგალითად ადვოკატების მომსახურების ანაზღაურება, მთავრობის ცალკეული წარმომადგენლების ლობირება და სხვა. ხშირად მონოპოლიური მოგება გამოიყენება სხვადასხვა ბარიერების შესაქმნელად, რომლებიც ხელს უშლიან ბაზარზე სხვა ეკონომიკური აგენტების შესვლას და საბოლოო ჯამში კონკურენციის განვითარებას.

გამოცდილება აჩვენებს, რომ მონოპოლიზმს ხშირად შედეგად მოყვება ეკონომიკური განვითარების დინამიზმის დაკარგვა და სტაგნაცია, რაც საბოლოო ანგარიშით იწვევს საზოგადოებრივი კეთილდღეობის შემცირებას და მის გაღარიბებას.

ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებს ყველა ქვეყანაში აკისრიათ სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და ვალდებულნი არიან პარტნიორებისა და კონკურენტების მიმართ დაიცვან ბიზნესის ეთიკის ნორმები, რაც ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კონკურენციაში ჯანსაღი, წესიერი მეთოდების გამოყენებას. მაგრამ მკაცრი კონკურენციული ბრძოლის პირობებში სასაქონლო ბაზრის მხოლოდ ეთიკური კრიტერიუმებისა და საზოგადოებრივი შეფასების იმედად დატოვება, მით უმეტეს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სრულიად მიუღებელია, ვინაიდან შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე სათანადო კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ორგანოს ოპერატიული ჩარევის გარეშე ცალკეულმა ეკონომიკურმა აგენტებმა და უპირველეს ყოვლისა, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა შეიძლება განიცადონ მნიშვნელოვანი, ხოლო რიგ შემთხვევაში გამოუსწორებელი, კატასტროფის ტოლფასი ზიანი. სწორედ ამიტომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფომ აუცილებელ შემთხვევებში უნდა აკონტროლოს და არეგულიროს სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული საზოგადოებისათვის დამღუპველი მონოპოლიზებისა და არაკეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკის პროცესები, მაქსიმალური მოგების მიღების ძირითადი მოტივი ჩაყენებულ იქნეს საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესების სამსახურში.

ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით კონკურენციის განვითარების მიზანშეუწონლობა და რიგ შემთხვევაში მისი შეუძლებლობა აუცილებელს ხდის ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების მუდმივი რეგულირების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებასა და რეალიზაციას.

განსაკუთრებით აქტუალურია ამ სფეროში კონტროლი ფასწარმოქმნაზე, რადგან ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქციასა და მომსახურებაზე ტარიფების დადგენილი დონე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ისეთ, საზოგადოებრივად სასიცოცხლო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, როგორცაა ფასებისა და ინფლაციის დონე, მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი.

ამასთან, ცნობილია, რომ ბუნებრივი მონოპოლიების გარდა არსებობს კონკურენციის შედეგად წარმოქმნილი მონოპოლიები და დომინირებული (მონოპოლიური) მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები. თუ ქვეყანაში ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტები მეტნაკლებად რეგულირების სფეროში არიან მოქცეული მარეგულირებელი კომისიების მხრიდან, საქართველოს დღევანდელი საკონკურენციო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საბაზრო მონოპოლიებისა და მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების საბაზრო ქცევის შესწავლასა და ადექვატური ღონისძიებების განხორციელებას; ზედამხედველობის გარეშე რჩება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინტერესების ზოგიერთი სფერო (საბაზრო და ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების პრობლემატიკისადმი წიგნში ცალკე კერძოდ შემდგომი განყოფილებაა მიძღვნილი. აქ ამ საკითხის გარკვეული გააქტიურება განპირობებულია საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და სიღარიბის ეკონომიკური კატეგორიებთან მისი მჭიდრო კავშირითა და ზემოქმედების მაღალი ხარისხით)

აღნიშნული მეწარმე სუბიექტების მიმართ, როგორც წესი, კონკურენციის სააგენტოებს (სამინისტროებს, კომიტეტებს, კომისიებს, დეპარტამენტებს, სამმართველოებს) გააჩნიათ კანონმდებლობით მინიჭებული შესაბამისი ზემოქმედების ბერკეტები. “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონის ამოქმედებამდე (12.07.2005წ.) ამ პრობლემის რეგულირება საქართველოში ხორციელდებოდა “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” კანონის ქვემდებარე ნორმატიული აქტებით. სამწუხაროდ, “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს რომელიმე ეკონომიკური აგენტის მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობასა და მისი აკრძალვის (რეაგირების) მექანიზმს. კანონი სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურ ჩაურევლობასა და “ეკონომიკური აგენტების

კონკურენციისათვის ხელის არ შეშლა“-ზეა (მუხლი 3. პუნქტი “ა”) დაფუძნებული.

ჩვენი აზრით, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ეს დადებითად ვერ იმოქმედებს ქვეყანაში ბიზნესის ჯანსაღი და არადისკრიმინაციული გარემოს ფორმირებაზე. შედეგად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება განიცადოს მცირე და საშუალო ბიზნესმა, რაც საბოლოო ანგარიშით ხელს შეუშლის საერთოდ ბიზნესის განვითარებას საქართველოში, სიღარიბის დაძლევისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის სათანადო ზრდას.

კონკურენციული კანონმდებლობის და კერძოდ, “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის სრულყოფის აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით; ჯერ-ერთი, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია ბიზნესისათვის სათანადო კონკურენციული პირობების შექმნა და დაცვა, რაც თავის მხრივ ხელს შეუშლის მცირე და საშუალო ბიზნესის არადისკრიმინაციულ გარემოში წარმართვას და არაეფექტურს გახდის სიღარიბესთან ბრძოლას. მეორე, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების და მისგან გამომდინარე ორმხრივი დოკუმენტების შესაბამისად საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ საქართველოს აქვს ვალდებულება კონკურენციის სფეროში კანონმდებლობის სრულყოფის და ჰარმონიზაციის თაობაზე, რომლის შესრულებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა.

“თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის სრულყოფასა და შესაბამის ინსტიტუციონალურ რეფორმას შეუძლიათ მნიშვნელოვანი (თუ არა გადამწყვეტი) როლი შეასრულონ ქვეყანაში სიღარიბესთან წარმატებულ ბრძოლასა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის დაჩქარებულ ზრდაში.

2.2.“საბაზრო” და ბუნებრივი მონოპოლიები; რეგულირების სპეციფიკა

ქვეყნის ეკონომიკის დაბალანსებული განვითარების საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ინფრასტრუქტურული დარგები, რომლებიც ასრულებენ დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას საწარმოო და

მომსახურების სფეროებსა და მომხმარებლებს შორის. ინფრასტრუქტურული დარგების ძირითად ნაწილს შეადგენენ ბუნებრივი მონოპოლიები. ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით კონკურენციის განვითარების მიზანშეუწონლობა და რიგ შემთხვევაში მისი შეუძლებლობა აუცილებელს ხდის ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების რეგულირების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებასა და რეალიზაციას. განსაკუთრებით აქტუალურია ამ სფეროში კონტროლი ფასწარმოქმნაზე, რადგან ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქციასა და მომსახურებაზე ტარიფების დადგენილი დონე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ისეთ, საზოგადოებრივად სასიცოცხლო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, როგორცაა ფასებისა და ინფლაციის დონე, მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი.

ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა გრძელვადიანი პერიოდისათვის ხორციელდება შესაბამისი, მასტიმულირებელი მოტივებისა და მექანიზმების წარმოქმნელი კანონებისა და წესების საფუძველზე. ბუნებრივი მონოპოლიების სპეციფიური მდგომარეობის გამო მონოპოლიური ბაზრის სუბიექტების საქმიანობაზე გადამწყვეტი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია სახელმწიფოს. სპეციფიურობა იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო რიგ შემთხვევაში გამოდის ეკონომიკური ურთიერთობის სუბიექტის (მესაკუთრის) სახით და იმავდროულად (ყოველთვის) წარმოადგენს ინსტიტუციონალური გარემოს განმსაზღვრელს და მაკონტროლებელს.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ბუნებრივი მონოპოლიების პირობებში მომუშავე ფირმების საქმიანობა უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელ და საჭიროების შემთხვევაში შემზღუდავ ზემოქმედებას. პრაქტიკულად, რეგულირების მიზანი გამოიხატება ტარიფების დასაბუთებულობისა და სამართლიანობის, გადამხდელთა და მომხმარებელთათვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფაში.

ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში ტარიფების სახელმწიფო რეგულირებისათვის, სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიზმის აღკვეთისათვის, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სარეალიზაციოდ და ქვეყანაში ჯანსაღი საკონკურენციო პირობების შექმნისათვის, როგორც წესი, იქმნება ხოლმე ბუნებრივი მონოპოლიების საქმიანობის რეგულირების სპეციალური სახელმწიფო ორგანოები. სახელმწიფო რეგულირება ემყარება შემდეგ პრინციპებს:

-მომხმარებელთა და ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების ინტერესების

დაბალანსებულობის მიღწევა;

-ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების ეფექტიანი და მომგებიანი საქმიანობის უზრუნველყოფა;

-ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში მოქმედ მეწარმე სუბიექტებსა და მათი საქმიანობის მარეგულირებელ ორგანოებს შორის ურთიერთ პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა.

სხვადასხვა ქვეყანაში რეგულირების სხვადასხვა წესია, მაგრამ მათი გაერთიანება შეიძლება ორ ძირითად მიმართულებაში: პირდაპირი რეგულირება, რომელიც ხორციელდება სპეციალურად შექმნილი მართვის უფლებამოსილი ორგანოების მიერ და ირიბი, როცა სახელმწიფოს მხრიდან რეგულირება გამოიხატება მისი, როგორც მესაკუთრის (სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების საწარმოების არსებობისას) უფლებათა გამოყენების, ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრისა და სათანადო ცვლილებათა შეტანისას მისთვის მიკუთვნებული საკანონმდებლო ინიციატივის უფლებათა რეალიზაციის მეშვეობით. რეგულირების წესები განსხვავდება საფასო და არასაფასო მეთოდების გამოყენების ხარისხითაც. იმ ქვეყნების ტიპურ წარმომადგენლად, სადაც გამოიყენება პირდაპირი რეგულირება და საფასო მეთოდი, ითვლება აშშ, ხოლო შვედეთი და ფინეთი კი იყენებენ ბუნებრივი მონოპოლიების საქმიანობის ირიბი რეგულირების ხერხს, უპირველეს ყოვლისა, საკუთრებითი ურთიერთობის რეალიზაციის გზით. ორივე შემთხვევაში, ფორმის მიუხედავად, რეგულირებას გააჩნია ერთი და იგივე მიზნები:

-მომხმარებელთა მიმართ დაუსაბუთებელი ტარიფების დაუშვებლობა;

-მწარმოებელთა ინტერესების ხელშეწყობა;

-სახელმწიფოს ინტერესების ხელშეწყობა ქვეყნის და საერთაშორისო დონეზე.

ბუნებრივ მონოპოლიებზე სახელმწიფო ზემოქმედების ფორმები და მეთოდები განსხვავდებიან ეკონომიკური სისტემის რეფორმირების ეტაპის მიხედვითაც. კერძოდ, ადმინისტრაციულ-გეგმური სისტემიდან საბაზროზე გადასვლის პირველ ეტაპზე (ეკონომიკაში სახელმწიფოს უშუალო ჩარევის და მისი როლის შემცირების ეტაპზე) დღის წესრიგში დგას ისეთი

რეფორმისტული ხერხების გამოყენება, როგორცაა დეზინტეგრაცია, დემონოპოლიზაცია და პრივატიზაცია. შემდგომ ეტაპზე (ეკონომიკური კონკურენციის აღმოცენებისა და განვითარების ეტაპზე) პრიორიტეტი ენიჭება პირდაპირ და ირიბ სახელმწიფო რეგულირებას როგორც ფასების, ისე არასაფასო მეთოდების მეშვეობით, ასევე კონკურენციისათვის ხელშემწყობი ეკონომიკური გარემოს შექმნას.

ეკონომიკური თეორიისა და კონკურენციის სფეროს სპეციალისტებისათვის ცნობილია, რომ არ არსებობს მუდმივი და ყოვლისმომცველი მონოპოლია და რომ ისეთ მონოპოლიურ ბაზარზეც კი, როგორც ბუნებრივ მონოპოლიას ახასიათებს, შესაძლებელია კონკურენცია შიდადარგობრივი კონკურენციის სახით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მ.პორტერის მოდელი, რომელიც ასახავს კონკურენციის გამოვლინების შემდეგ ფორმებს:

-ახალი, პოტენციური კონკურენტების გაჩენის საფრთხე;

-არსებული საქონლისა და მომსახურების შემცველთა წარმოქმნის საფრთხე;

-მომწოდებელთა (გამყიდველების) ვაჭრობის უნარი;

-მყიდველთა ვაჭრობის უნარი;

-უკვე არსებული კონკურენტების ურთიერთდაპირისპირება.

ასე მაგალითად, კავშირგაბმულობის დარგში სატელეფონო კომპანიების მონოპოლიზში შეიძლება დაირღვეს ახალი კონკურენტების გაჩენასთან და მომსახურების არსებული სახეების შემცველების, ანუ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით განპირობებული ტექნოლოგიური კონკურენციის წარმოქმნასთან დაკავშირებით (მაგისტრალური ციფრული ხაზები, მობილური კავშირი, ინტერნეტი და ა.შ.). ანალოგიური მოვლენები შეიძლება მოხდეს ელექტროენერგეტიკის დარგში და რკინიგზის ტრანსპორტზე. რაც შეეხება ლოკალურ ბუნებრივ მონოპოლიებს – წყალმომარაგებასა და კანალიზაციას, ამ სფეროში ბუნებრივი მონოპოლია ბაზრის ყველაზე უფრო მყარი მდგომარეობაა და იგი პრაქტიკულად არ განიცდის (არც უახლოეს პერსპექტივაშია მოსალოდნელი) კონკურენციის ფაქტორების ზეგავლენას.

სანამ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულირებად სფეროს შევეხებოდეთ, აუცილებელია შევჩერდეთ ისეთი ცნებების განმარტება-გამიჯვნის საკითხზე, როგორცაა “მონოპოლია”,

“მონოპოლისტი” და “მონოპოლიზმი”. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ “მონოპოლია” ბაზრის ისეთი მდგომარეობაა (საბაზრო სტრუქტურაა), რომლის დროსაც ბაზარზე მოქმედებს მხოლოდ ერთი გამყიდველი და მეორეს მხრივ, ესაა საბაზრო ძალაუფლება, რომელიც წარმოიშვა წარმოების ან ვაჭრობის განსაკუთრებული შესაძლებლობის არსებობის შედეგად. “მონოპოლისტი” – ეკონომიკური აგენტია (მეწარმე სუბიექტი), რომელიც ერთადერთი გამყიდველია შესაბამის სასაქონლო ბაზარზე. “მონოპოლიზმი”- ეკონომიკური აგენტის მხრიდან რეალურად გამოვლენილი მონოპოლიური თვისებებია, რომელიც გამოიხატება სარგებლის მიღების მიზნით მონოპოლისტის მიერ საბაზრო ძალაუფლებისა და თავისი დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში. “მონოპოლიზმი” პრაქტიკულად კონკურენციის თეორიაში ცნობილი “მონოპოლიური საქმიანობაა”, რომელიც აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით და ასევე უმრავლესი ქვეყნების კონკურენციული კანონმდებლობებით, მაგრამ რომელსაც სამწუხაროდ კონკრეტული საკანონმდებლო უფლებამოსილებიდან და ეკონომიკური აგენტის “მონოპოლიური მდგომარეობის” კანონით განმარტებული ცნებიდან გამომდინარე, არ არეგულირებს საქართველოს კანონი “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ.”

საერთოდ, რაც შეეხება საქართველოში ბუნებრივი და საბაზრო მონოპოლიების ფუნქციონირებისა და რეგულირების ასპექტების შეფასებას, დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების, ასევე ელექტრონული კომუნიკაციების სფეროებში არსებობს დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები, რომლებიც კონკურენციის სფეროში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე შემუშავებული კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ აღნიშნულ რეგულირებად სფეროებში სალიცენზიო სამუშაოებს და ზედამხედველობას ტარიფების დასაბუთებულობაზე. თუმცა გარკვეულ ეჭვს იწვევს ინტერესთა კონფლიქტის თვალსაზრისით რეგულირების საფასურსა და კომისიების წევრთა შრომის ანაზღაურებას შორის უშუალო კავშირის მართლზომიერების საკითხი.

ამასთან, ცნობილია, რომ არსებობენ (ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია არსებობდნენ) საბაზრო მონოპოლიები (მონოპოლიები, რომლებიც ბუნებრივი მონოპოლიების სეგმენტისგან განსხვავებით, შეიქმნენ კონკურენციულ

სფეროში სადაც საზოგადოდ სასურველია კონკურენციის არსებობა) და დომინირებული (მონოპოლიური) მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები, რომელთაც პოტენციურად გააჩნიათ კონკურენციის შემზღუდავი საბაზრო ძალა შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე. აღნიშნული მეწარმე სუბიექტების მიმართ, როგორც წესი, სხვადასხვა ქვეყნების კონკურენციის სააგენტოებს (სამინისტროებს, კომიტეტებს, კომისიებს, დეპარტამენტებს, სამმართველოებს) გააჩნიათ კანონმდებლობით მინიჭებული შესაბამისი ზემოქმედების ბერკეტები. “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონის ამოქმედებამდე (12.07.2005წ.) ამ პრობლემის რეგულირება საქართველოშიც ხორციელდებოდა “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” კანონის ქვემდებარე ისეთი ნორმატიული აქტებით, როგორიცაა:

-საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 30 სექტემბრის №426 ბრძანებულება “საქართველოს სასაქონლო ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.”

-საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის 2000 წლის 12 დეკემბრის №8/42 ბრძანება “შესაბამის (კონკრეტულ) სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრის შესახებ.”

არ ვაფასებთ რა მითითებული ნორმატიული აქტების შინაარსობრივ მხარეს და მეთოდური ინსტრუმენტარის პრაქტიკულ ღირებულებას, უნდა აღინიშნოს, რომ “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონი კონკურენციის სფეროს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის იგნორირებას ახდენს, როგორცაა ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა და მისი ბოროტად გამოყენება. კანონის მე-2 თავი, რომელიც ეძღვნება კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვის თემას, გარკვეულ აკრძალვებს უწესებს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, მაგრამ საერთოდ არ ითვალისწინებს რომელიმე ეკონომიკური

* “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლში მონოპოლიური მდგომარეობა (მონოპოლიური კონკურენციის საბაზრო სტრუქტურის პირობებში) განმარტებულია როგორც “ბაზრის ისეთი მდგომარეობა, სადაც არსებობს საქონლის ერთი გამყიდველი და საქონელს არ გააჩნია სხვა ურთიერთშენაცვლებადი საქონელი”, რაც არასწორია და ფაქტობრივად “მონოპოლიის” საბაზრო სტრუქტურის ცნებას წარმოადგენს.

აგენტის მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობასა და მისი აკრძალვის (რეაგირების) მექანიზმს. ამდენად, გაურკვეველია კანონში მითითებული ე.წ. “რეგულირებადი ეკონომიკური სფეროები”-ს ნუსხა, თუ კი იგი არ მოიცავს საბაზრო მონოპოლიების სუბიექტებს. თუ ქვეყანაში ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტები მეტნაკლებად რეგულირების სფეროში არიან მოქცეული მარეგულირებელი კომისიების მხრიდან, კანონი არ ითვალისწინებს საბაზრო მონოპოლიებისა და მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების (რომელთაც ძალუძთ კონკურენციის შეზღუდვა შესაბამის სასაქონლო ბაზარზე ან შეიძლება რეალურად ზღუდავენ კიდევაც) საბაზრო ქცევის შესწავლასა და ადეკვატური ღონისძიებების განხორციელებას; ზედამხედველობის გარეშე რჩება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინტერესების ზოგიერთი სფერო. ბუნებრივია, აღნიშნული დადებითად ვერ იმოქმედებს ქვეყანაში ბიზნესის ჯანსაღი და არადისკრიმინაციული გარემოს ფორმირებაზე. შედეგად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება განიცადოს მცირე და საშუალო ბიზნესმა, რაც საბოლოო ანგარიშით ხელს შეუშლის საერთოდ ბიზნესის განვითარებას საქართველოში და საზოგადოებრივი კეთილდღეობის სათანადო ზრდას.

“თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონმა ფაქტობრივად რეალური ფუნქციების გარეშე დატოვა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რამდენადაც მისი რეგულირების სფეროში არ შედის საკონკურენციო სამართლის ზემოთ მითითებული და რიგი სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხისა, ხოლო რეგულირებადი ეკონომიკური სფეროები ინფრასტრუქტურული დარგების სახით ძირითადად დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების კომპეტენციას განეკუთვნებიან. ასევე დასაკონკრეტებელია სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებისა (რომლებიც ინდიკატიური გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ) და სახელმწიფო დახმარებებისა და შეღავათების (რომელსაც სამთავრობო კომისია იხილავს და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის იღებს გადაწყვეტილებას) საკითხში სამინისტროს საქვეუწყებო ორგანოს ილუზორული როლი და ფუნქციები.

მიუხედავად იმისა, რომ სააგენტო იმყოფება პერმანენტული ლიკვიდაცია-რეორგანიზაციის და სტრუქტურული “ოპტიმიზაციის” საშიშროების პირობებში, საინტერესოა და საჭიროცაა მისი ჩართვა ინიციატივის საფუძველზე მაინც თეორიულ დისკუსიაში თავისუფალი ვაჭრობის საკითხებზე და მონოპოლიური საქმიანობის აღკვეთის თემაზე. მნიშვნელოვანია ასევე კანონით სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული ისეთი საკითხების გადაჭრა, როგორცაა:

-სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურისა და ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მიღების ზოგადი წესების შემუშავება, ნორმატიული აქტების სახით მათი დამტკიცება და პრაქტიკულ საქმიანობაში რეალურად გამოყენება;

-რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედი ეკონომიკური აგენტების ნუსხის განსაზღვრა და მათი საქმიანობის ანალიზის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და გამოქვეყნება.

მართალია, “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონში, რომლის აღსრულებაც აკისრია თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს, არაა კონკრეტული დებულებები თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ხასიათისა და ნორმების თაობაზე, მაგრამ კანონისა და სააგენტოს სახელწოდებებიდან გამომდინარე, სააგენტოს მართებს შესაბამის გამოკვლევათა საფუძველზე ამ მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში, ზემდგომი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მეშვეობით საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენა. აქტუალურად გვეჩვენება ასევე დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ირგვლივ მიმდინარე კრიტიკული შეფასებებისა და რადიკალურ საკანონმდებლო ცვლილებათა კონტექსტში სააგენტოს მხრიდან მარეგულირებელ კომისიებთან მიმართებაში უფლებამოსილებებისა და მოვალეობების ოპტიმალური გამიჯვნის საკითხის დაყენება. სამწუხაროდ, აღნიშნულ პრობლემატიკაზე, ისევე როგორც ზემოთ მითითებულ ბევრ საკითხზე, სააგენტოს პოზიცია გაურკვეველია. პრობლემა კი უადრესად საჭირობოროტოა და სიცხადის შეტანას მოითხოვს. იგი უფრო მასშტაბურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს; მას ფაქტობრივად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელის განსაზღვრა-გადახედვის აუცილებლობამდე მივყავართ.

2.3. საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაცია და მისი მაჩვენებლები

საყოველთაოდ აღიარებული კრიტერიუმების თანახმად, ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენენ მისი (ეკონომიკური აგენტის) საბაზრო წილი, ბაზარზე შეღწევის ბარიერები და კონკურენტთა შესაძლო რეაქცია. საჭიროა აღინიშნოს, რომ თავისთავად დიდი საბაზრო წილის არსებობა, ანდა ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა საზოგადოდ არ განიხილება და არც შეიძლება განიხილებოდეს როგორც კანონსაწინააღმდეგო, რამდენადაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში თითოეული მეტნაკლებად ამბიციური ეკონომიკური აგენტის ბუნებრივი სწრაფვა ბიზნესის მასშტაბების ზრდისა და მოგების მაქსიმიზირებისაკენ, წარმატების შემთხვევაში განაპირობებს მათ მონოპოლიურ (დომინირებულ) მდგომარეობას ბაზარზე, მით უმეტეს ისეთ მცირე ზომის ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც უმრავლეს კაპიტალტევად სამრეწველო ხასიათის დარგში პრაქტიკულად შეუძლებელია ამგვარი სიტუაციისათვის თავის არიდება და კონკურენციის ჯეროვანი განვითარება.

საბაზრო წილის მაჩვენებელი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ბაზრის მოცულობისა და მისი სტრუქტურის განსაზღვრის ეკონომიკა, ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების ქცევის სხვადასხვა ასპექტები პირდაპირ კავშირშია შესაბამის სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრასა და მის ხელში საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციასთან. ეს უკანასკნელი კი უშუალოდ უკავშირდება საკონკურენციო პოლიტიკისა და საკონკურენციო პოლიტიკისა და საკონკურენციო კანონმდებლობის სამართლებრივ ასპექტებს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, საბაზრო ძალაუფლება წარმოადგენს ფირმის (ფირმების) შესაძლებლობას დააწესოს ფასები კონკურენციული წონასწორობის დონეზე უფრო ზემოთ ხანგრძლივი დროის მანძილზე და მიიღოს ზემოგება. შედეგად, ამ ძალაუფლების გამოყენებას, როგორც წესი, მიყვავართ პროდუქციის მოცულობის წარმოებისა და რეალიზაციის შემცირებისაკენ, რესურსების არარაციონალურ, არაეფექტურ ხარჯვასთან და საზოგადოებრივი კეთილდღეობის პოტენციურ “დანაკარგებთან.”

თუ ფირმას არ გააჩნია ფაქტობრივი ან მოსალოდნელი საბაზრო ძალაუფლება, ამ ბაზარზე პრაქტიკულად არა აქვს აზრი საკონკურენციო

კანონმდებლობის რეალიზაციას. ამ შემთხვევაში ფირმას არ შეუძლია თავისი გადაწყვეტილება თავს მოახვიოს კონკურენტებს ან მომხმარებლებს; იგი იძულებულია გამოიყენოს ის ფასი, რომელსაც კარნახობს ბაზარი, რადგან ერთის მხრივ არ ძალუძს დააწესოს კონკურენტების ფასებზე უფრო მაღალი ფასი და მეორეს მხრივ არ არსებობს საქონლის უფრო დაბალ ფასად გაყიდვის საფუძველი.

პრაქტიკაში იყენებენ საბაზრო ძალაუფლების შეფასების სხვადასხვა ხერხებს. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ლერნერის ინდექსი, რომელიც აჩვენებს საბაზრო ძალაუფლების დამოკიდებულებას მოთხოვნის ელასტიურობაზე /რაც უფრო მეტადაა დახრილი მოთხოვნის მრუდი ქვემოთ ან რაც უფრო არაელასტიურია იგი, მით დიდია ფირმის საბაზრო ძალაუფლება/.

ბაზრის მონოპოლიზაციის შეფასების სხვა მეთოდები დაკავშირებულია საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციის დონის განსაზღვრასთან, ანუ ერთი ან რამოდენიმე მსხვილი ფირმის მიერ ბაზრის ფლობის ხარისხთან.

ვინაიდან არ არსებობს ბაზრის კონცენტრაციის დონისა და კონკურენციის ხარისხის შეფასების რაიმე უნივერსალური მოდელი და თითოეული კონკრეტული სასაქონლო ბაზარი თავისი სპეციფიკით ხასიათდება, ამიტომ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ კონცენტრაციის დონის შეფასების ზოგად პრინციპებსა და მიდგომებზე.

კონკურენციის სფეროს სპეციალისტთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს საბაზრო ძალაუფლების გაზომვის სტრუქტურულ მიდგომას, რომელიც მდგომარეობს ფირმების რაოდენობის განსაზღვრასა და ბაზრის საერთო მოცულობაში მათი წილების შედარებაში /საბაზრო წილი ასოცირდება საბაზრო ძალაუფლების მაჩვენებელთან/.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ არა მარტო ფირმების რაოდენობას ბაზარზე, არამედ მათ დაბალანსებულობას ზომების მიხედვით შეუძლია დაახასიათოს კონკურენციის მდგომარეობა. ბაზარზე შეიძლება მოქმედებდეს ფირმების დიდი რაოდენობა, მაგრამ მათგან რომელიმე თუ სხვებთან შედარებით გაცილებით უფრო მსხვილ ფირმას წარმოადგენს და დომინირებს, მაშინ ეს ბაზარი მონოპოლიური ხასიათისაა. ხოლო თუ ბაზარზე მოქმედებს თანაბარზომიერი, ძალაუფლების თვალსაზრისით

დაბალანსებული ფირმების მცირე რაოდენობა, მაშინ იგი კონკურენციულად შეიძლება ჩაითვალოს.

არსებობს კონცენტრაციის გაზომვის რამდენიმე მეთოდი, რომლებიც ხშირად გამოიყენება საბაზრო ძალაუფლების დადგენისას. მათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კონცენტრაციის კოეფიციენტები (**CR**) და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსები (**HHI**). ეს მაჩვენებლები გაიანგარიშება საქონლის გაყიდვის ან მიწოდების მონაცემებით დროის განსაზღვრული პერიოდისათვის. ამასთან, კონცენტრაციის კოეფიციენტებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი შეზღუდვა. კერძოდ, ისინი არ ითვალისწინებენ სხვაობას იმ დარგებს შორის, სადაც ერთში რომელიმე ფირმა დომინირებს, ხოლო მეორეში რამდენიმე მსხვილი ფირმა მეტნაკლებად თანაბრად ფლობს ბაზარს.

მონოპოლიზაციის დონის უფრო ადეკვატური მახასიათებელია ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი, რომელიც ითვალისწინებს დარგში მოქმედი ფირმების საერთო რიცხვს და მათ შედარებით სიდიდეებს. **HHI** გაიანგარიშება როგორც შესაბამის სასაქონლო ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების პროცენტული საბაზრო წილების კვადრატების ჯამი. თვით წილები გაიანგარიშება პროდუქციის გამოშვების მოცულობის, გაყიდვის მოცულობის, სიმძლავრის ან ეკონომიკური საქმიანობის სხვა ინდიკატორის საფუძველზე. **HHI**-ის ეკონომიკური არსი იმაში მდგომარეობს, რომ რაც უფრო მაღალია მისი რაოდენობრივი მაჩვენებელი, საბაზრო ძალაუფლების თვალსაზრისით მით უფრო გავლენიანია ესა თუ ის კომპანია.

ბაზრის კონცენტრაციის დონის ზრდასთან ერთად იზრდება **HHI** მონოპოლიის შემთხვევაში აღწევს მაქსიმალურ სიდიდეს (**10000**). ბაზრისთვის, სადაც მოქმედებს **10** თანაბარი ძალის ეკონომიკური აგენტი, კონცენტრაციის კოეფიციენტი **CR** ტოლია **100**-ის, **HHI** შეადგენს **1000**-ს. თუ ბაზარს თანაბრად ინაწილებს **5** ეკონომიკური აგენტი, მაშინ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი უტოლდება **2000**-ს.

HHI-ის და **CR**-ის მაჩვენებელთა სიდიდეებით ხდება სასაქონლო ბაზრების რანჟირება კონცენტრირებულობის ხარისხის მიხედვით:

- მაღალკონცენტრირებული (**HHI>2000; CR3>70%**);
- ზომიერად კონცენტრირებული (**1000<HHI<2000; 45<CR3<70%**);
- არაკონცენტრირებული (**HHI<1000; CR3<45%**).

კონკურენციული კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენების დროს

ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, ეკონომიკურ აგენტთა წილის დადგენა და მათი საბაზრო ძალაუფლების გაზომვა გადამწყვეტ როლს თამაშობენ საქმეთა განხილვებში, რომლებსაც ახორციელებენ კონკურენციის ორგანოები, ასევე სასამართლო პროცესებზე მონოპოლისტ ეკონომიკურ აგენტთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა, ვაჭრობის თავისუფლებისა და კონკურენციის შემზღუდავი შერწყმებისა და შეთანხმებების განხილვებისას და გადაწყვეტილებათა მიღებისას.

უმრავლესი ქვეყნების საკონკურენციო კანონმდებლობაში (მათ შორის ევროკავშირის კანონმდებლობაში) მონოპოლიური საბაზრო ძალაუფლება წარმოადგენს იურიდიულ კატეგორიას და კანონმდებლობით დგინდება დომინირებული საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრის წესი. რაც შეეხება ზემოთ განხილულ კოეფიციენტებსა და ინდექსებს, ისინი თავისი ხასიათით წმინდა ეკონომიკურს განეკუთვნებიან და როგორც წესი, რიგ შემთხვევაში გამოიყენებიან დამატებითი არგუმენტების სახით.

ბევრ ქვეყანაში კანონმდებლობითაა დადგენილი დომინირებული (მონოპოლიური) მდგომარეობის განმსაზღვრელი რაოდენობრივი კრიტერიუმი, რომელიც სხვადასხვა ვარიაციაში ქვეყნების მიხედვით მერყეობს დაახლოებით საბაზრო წილის 25 პროცენტიდან 65 პროცენტამდე. საქართველოში “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” კანონისა და მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტების გაუქმებამდე ასეთ ნორმას წარმოადგენდა 35 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად, ეკონომიკური აგენტი ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ მისი საბაზრო წილი შეადგენს არანაკლებ 1/3-ს. ამასთან, ორ ეკონომიკურ აგენტს დომინირებული მდგომარეობა უჭირავს, თუ მათი ერთობლივი საბაზრო წილი არანაკლებ 50%-ა, ხოლო სამი და მეტი ეკონომიკური აგენტი დომინირებული მდგომარეობის მქონედ ითვლებიან, თუ მათი ერთობლივი საბაზრო წილი შეადგენს არანაკლებ 2/3-ს. აქ, ბუნებრივია, გათვალისწინებულია ეკონომიკურ აგენტთა შეთანხმებები, რომელთა შედეგად ეს უკანასკნელნი ინარჩუნებენ იურიდიულ დამოუკიდებლობას, მაგრამ ერთობლივად იძენენ დიდ საბაზრო ძალაუფლებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანტიკონკურენციული მიზნების მისაღწევად. ამ თვალსაზრისით კონკურენციის ორგანოებისათვის გასაკუთრებულ პრიორიტეტს წარმოადგენს

პორიზონტალური შეთანხმებების ყველაზე უფრო მძიმე ფორმის – კარტელური შეთანხმებების გამოვლენა და აღკვეთა, არის ის ნაციონალური თუ ტრანსნაციონალური შინაარსის.

ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკურ აგენტთა შორის მიმდინარე შერწყმების კონტროლი, რომელთა ნაწილი “გონივრულობის პრინციპის” გათვალისწინებით შეიძლება ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებული და აუცილებელიც კი იყოს, ხოლო მეორე ნაწილი აღმოჩნდეს შესაბამის ბაზრებზე კონკურენციისათვის დამღუპველი, ან უკეთეს შემთხვევაში – სერიოზული ზიანის მომტანი. ამგვარი კონტროლი წარმოადგენს მნიშვნელოვან პრევენციულ ღონისძიებას საბაზრო კონცენტრაციისა და კონკურენციის საწინააღმდეგო შერწყმების თავიდან ასაცილებლად, ან მათ გონივრულ ჩარჩოებში მოსაქცევად.

სამწუხაროდ, საქართველოს დღევანდელ საკონკურენციო კანონმდებლობას და კონკრეტულად კანონს “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ”, რომელიც არ ასახავს ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, ანუ მონოპოლიური საქმიანობის პრობლემატიკას, არ გააჩნია შესაძლებლობა უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნები საკონკურენციო სფეროში. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კონსტიტუციის შესაბამისად სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციის განვითარებასა და დაცვას, ასევე გამოავლინოს და აღკვეთოს მონოპოლიური საქმიანობის ფაქტები. რადგან მონოპოლიური საქმიანობის პოტენციური შესაძლებლობა გააჩნიათ მხოლოდ მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტებს, ისინი სრულიად მართებულად საკონკურენციო ორგანოების განსაკუთრებული ინტერესების სფეროში იმყოფებიან (ხოლო ზოგ ქვეყანაში მათი საბაზრო ქცევა მუდმივი მონიტორინგის საგანს წარმოადგენს), რათა არ მოხდეს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და არ განხორციელდეს მონოპოლიური საქმიანობა კონკურენციის შეზღუდვის ან აღკვეთის ხარჯზე.

2.4. კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვა

კონკურენციის განვითარებაზე მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებები ბაზრის განაწილების, ფასების დაფიქსირების და სხვა მიმართულებით, რითაც ერთის მხრივ იზღუდება კონკურენცია და მეორეს მხრივ ზარალდება მომხმარებელი.

ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებები შეიძლება ატარებდნენ ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ ხასიათს. როგორც წესი, მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის და შესაბამისად საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება დაკავშირებულია ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობებთან ბაზარზე დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები და ზეგავლენა მოახდინონ საქონლის ფასზე.

ბაზარზე შესაძლებელია ისეთი სიტუაციის არსებობა, როდესაც კონკურენტი ეკონომიკური აგენტები ინარჩუნებენ თავიანთ იურიდიულ დამოუკიდებლობას, მაგრამ ათანხმებენ რა ერთმანეთთან თავიანთ მოქმედებას, მათი საბაზრო ქცევა ფაქტობრივად ემსგავსება ერთი ეკონომიკური აგენტის მოქმედებას. ცხადია, ან შემთხვევაში ეკონომიკური აგენტები იძენენ სერიოზულ საბაზრო ძალაუფლებას, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოიყენებულ იქნას ანტიკონკურენტული მიზნების მისაღწევად. ამგვარი სიტუაცია დაკავშირებულია ჰორიზონტალური შეზღუდვების, ანუ ჰორიზონტალური შეთანხმებების არსებობასთან.

ამგვარად, ჰორიზონტალური შეთანხმება წარმოადგენს ერთ და იგივე სასაქონლო ბაზარზე მოქმედი კონკურენტი ეკონომიკური აგენტების (გამყიდველების ან მყიდველების) შეთანხმებას, რომლის შედეგად იზღუდება ან შეიძლება შეიზღუდოს კონკურენცია. ჰორიზონტალური შეთანხმება ითვლება კონკურენციის შემზღუდავ ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მნიშვნელოვან ფორმად და ყველა ქვეყნის ანტომონოპოლიური კანონმდებლობით იკრძალება, ხოლო მათი პრაქტიკულად გამოვლენისა და კონკურენციის შეზღუდვის ფაქტების დადასტურებისას ისჯება კიდევ.

არსებობს შეთანხმების მეორე სახეც, ე.წ. ვერტიკალური შეთანხმება. ვერტიკალური შეთანხმების მონაწილენი ჰორიზონტალურისგან განსხვავებით არ წარმოადგენენ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს. ამ

შეთანხმების მონაწილენი, ხშირ შემთხვევაში პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა სტადიაზე ფუნქციონირებადი ეკონომიკური აგენტები არიან. აქ შეიძლება, მაგალითად ისეთ ანტიკონკურენტულ ქმედებას ჰქონდეს ადგილი, როდესაც მონოპოლიური მდგომარეობის მქონე მწარმოებელი ეკონომიკური აგენტი შეთანხმების მონაწილე რეალიზატორ ეკონომიკურ აგენტს პროდუქციას სთავაზობს შეღავათიან პირობებში, ხოლო სხვა ეკონომიკურ აგენტებს თავს ახვევს დისკრიმინაციულ პირობებს. მაგრამ ასეთი ქმედება კონკურენციის შეზღუდვის საშიშროება ქმნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მონაწილეებს (რომელიმეს ცალკე ან ერთად აღებულით) უკავიათ მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა და გააჩნიათ საბაზრო ძალაუფლება. შესაბამისად, მათი ქმედება ამ შემთხვევაში იკრძალება კანონმდებლობით და იგი ექცევა ანტომონოპოლიური ორგანოს ზედამხედველობისა და რეგულირების არეალში.

რაც შეეხება არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, იგი წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის (აგენტების) მიზანმიმართულ ქმედებებს სამეწარმეო საქმიანობის სფეროში დაუსაბუთებელ (დაუმსახურებელ) უპირატესობათა მოსაპოვებლად; ეს ქმედებები ეწინააღმდეგებიან მოქმედი კანონმდებლობის დებულებებს, სამეურნეო ბრუნვის წესებს, წესიერების, გონივრულობის და სამართლიანობის მოთხოვნებს და აყენებენ (შეიძლება მიაყენონ) ზარალს სხვა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ან მათ საქმიან რეპუტაციას.

სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის სრულყოფის, დანახარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების გზით სავსებით დასაშვები, ნორმალური და აუცილებელი მოვლენაა კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვება. უფრო მეტიც, ეს უპირატესობანი განპირობებულია სასაქონლო ბაზარზე კონკურენციული მექანიზმის არსებობით. რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ დაუმსახურებლად უპირატესობათა მიღწევას, სახელმწიფო მათ წინ უნდა გადაეღობოს სამართლებრივი და ორგანიზაციული ბარიერებით.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენცია – ესაა სპეციფიური სამართლებრივი ინსტიტუტი. იგი არ წარმოადგენს მონოპოლიური საქმიანობის ფორმას, არ უკავშირდება საბაზრო ძალაუფლების არაჯეროვნად (ბოროტად) გამოყენებას და

ძირითადად ახასიათებს კონკურენტების ქცევას ეთიკური ნორმების თვალსაზრისით.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ეკონომიკური შედეგები, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში არაა ისე ცხადად გამოხატული, როგორც მონოპოლიური საქმიანობისა, უკავშირდება კონკურენციის “ხარისხის” გაუარესებას და როგორც შედეგი ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის შემცირებას.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომლის დანიშნულებაა ურთიერთობათა დარეგულირება კონკურენციის სფეროში და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა, ფაქტობრივად აიძულებს საქონელმწარმოებლებს რათა მომხმარებელთა მოთხოვნები დააკმაყოფილონ მაქსიმალურად დაბალი ფასებით (ზღვრული დანახარჯების დონეზე) რესურსების ყველაზე უფრო ეფექტიანი გამოყენების პირობებში. იგი მოწოდებულია კონკურენციის იდეალებთან რეალური სამეწარმეო პრაქტიკის და მართვის მეთოდების დაახლოებისთვის. მაგრამ ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სადაც არსებობს კონკურენცია, იქ შესაძლებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების არსებობაც. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა ცნობილია ყველა ქვეყანაში იმის მიუხედავად, თუ საბაზრო ურთიერთობების რა “სტაჟი” გააჩნიათ ამ ქვეყნებს და რამდენად დიდი ხანია მიმდინარეობს კონკურენციულ კანონმდებლობათა რეალიზაცია.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ეკონომიკურ შეჯიბრებაში (კონკურენციაში) უნდა იმარჯვებდეს ეკონომიკური აგენტი, რომელიც აწარმოებს ყველაზე უფრო სასარგებლო (იმ დროისთვის საჭირო) პროდუქციას მომხმარებლისათვის ყველაზე უფრო მისაღებ (მომგებიან) პირობებში. ეს კი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეკონომიკური აგენტი დაიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. მაგრამ სპორტული შეჯიბრების ანალოგიურად, აქაც შეიძლება წარმოიქმნას ცდუნება აღნიშნული წესების არად ჩაგდებისა და მათი გვერდის ავლისა.

ეკონომიკურ კონკურენციაში “არბიტრის” ფუნქციას, როგორც წესი მომხმარებელი ასრულებს თავისი არჩევანით. მაგრამ სიტუაციის გართულების გამო იგი ხშირად ჯეროვნად ვერ ახერხებს როლის შესრულებას და თავადვე რჩება მოტყუებული, რამდენადაც ყოველთვის არ შეუძლია დამოუკიდებლად ამოიცნოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა ესაჭიროება როგორც მომხმარებელს, ისე პატიოსან კონკურენტს, რომელიც ემორჩილება კანონმდებლობით დადგენილ “თამაშის წესებს”. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნებისმიერი ფორმის გამოვლინების თავიდან აცილება და აღკვეთა ემსახურება არა მარტო კონკრეტული მომხმარებლისა და მეწარმის ინტერესებს, არამედ საერთოდ მთელი საზოგადოების ინტერესებს და საზოგადოდ პროგრესის სტიმულირებას.

სხვადასხვა ქვეყნების კონკურენციული კანონმდებლობების და კონკურენციის სფეროში მოღვაწე ექსპერტთა შეფასებით ეკონომიკური აგენტის ქმედება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად ითვლება, თუ ეს ქმედება:

- მიმართულია სამეწარმეო საქმიანობაში უპირატესობის მისაღებად;

- ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, საქმიანი ბრუნვის, წესიერების, გონივრულობისა და სამართლიანობის აღიარებულ ნორმებს;

- მატერიალურ ზიანს აყენებს (შეუძლია მიაყენოს) სხვა ეკონომიკურ აგენტებს – კონკურენტებს ან ჩრდილს აყენებს მათ საქმიან რეპუტაციას.

წესიერებისა და სამართლიანობის ნორმები სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების სოციალური და მორალურ-ეთიკური პრინციპების გამოხატვა. ამდენად, ისინი ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნებში, არამედ ზოგჯერ ერთი ქვეყნის შიგნითაც. ამასთან, ეს ნორმები შეიძლება იცვლებოდნენ დროთა განმავლობაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განსაზღვრება ნაკლებად ეფექტურია ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ობიექტური შეფასებისათვის. არსებობს პარამეტრების რიგი, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება მკაფიოდ განისაზღვროს, როგორი პრაქტიკა შეიძლება იქნეს განხილული “არაკეთილსინდისიერი“-ს და როგორი “კეთილსინდისიერი“-ს რანგში. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, როგორც საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირების საფუძვლების საწინააღმდეგო მოვლენა, კანონით აკრძალულია ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა.

ანალოგიურად, საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით, კერძოდ, “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” კანონის

მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით იკრძალებოდა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავდა მისი გამოვლინების სახეებს:

-კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც ადრესატს უქმნის არასწორ წარმოდგენას და ამით უბიძგებს გარკვეული სამეურნეო ქმედებისაკენ;

-ეკონომიკური აგენტის მიერ კონტრაგენტის შეცდომაში შეყვანის მიზნით გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;

-კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა დემპინგური ფასების გამოყენებითა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გზით;

-ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტირება;

-კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო დასახელების თვითნებურად გამოყენება;

-კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული გაფორმების მითვისება;

-სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, სავაჭრო ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე.

ბუნებრივია, სასურველია ამ ნუსხის მაქსიმალურად გაფართოვება და სრულყოფა, რათა კონკურენციის და სასამართლო ორგანოებს ჰქონდეთ შესაბამის სამართალდარღვევებზე ადექვატური და ოპერატიული რეაგირების შესაძლებლობა. ამასთან, ჩამონათვალი არ უნდა იყოს ამოწურვადი, რათა სასამართლოებს (კონკურენციის ორგანოებს) მიეცეთ საშუალება გარკვეული ანალიზის საფუძველზე მიიღონ შესაბამისი შემზღუდავი ან ამკრძალავი გადაწყვეტილება. აღნიშნულის დასაბუთებისათვის საკმარისია ითქვას, რომ არაა გამორიცხული ისეთი ფაქტების გამოვლენა, რომლებიც შეიძლება ნამდვილად არ იყვნენ შესაბამისობაში ჯანსაღი კონკურენციისა და ბიზნესის ეთიკის წესებთან, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო არ შედიოდნენ კონკრეტულ ჩამონათვალში

სამწუხაროდ, “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” კანონის გაუქმების შემდეგ (2005წ.) საქართველოს მოქმედი კონკურენციული კანონმდებლობა და მათ შორის კანონი “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” საერთოდ არ “სცნობს” არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და უფრო მეტიც, კანონმდებლობაში მისი დეფინიციაც კი არ არსებობს.

არადა მკაცრი კონკურენციული ბრძოლის პირობებში სასაქონლო ბაზრის მხოლოდ ეთიკური კრიტერიუმებისა და საზოგადოებრივი შეფასების იმედად დატოვება, მით უმეტეს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც შედარებით დაბალია საზოგადოების სოციალური აქტივობა და სასამართლოთა დამოუკიდებლობის დონე, სრულიად მიუღებელია.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კანონის სათაურშიც და შესაბამისი სააგენტოს სახელწოდებაშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი “თავისუფალ ვაჭრობა”-ს, მაგრამ თვით კანონში არაფერია ნათქვამი კონკრეტულად თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ან ნორმების თაობაზე. ჩვენ ამ სახელწოდების საწინააღმდეგო თავისთავად არაფერი გვაქვს, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, ხოლო სააგენტოსათვის ამ სფეროში რეალურად ფუნქციების მინიჭება და მათი პრაქტიკული რეალიზაცია როგორც ქვეყნის შიდა, ისე საგარეო ბაზარზე. მხედველობაშია მისაღები, რომ კონკურენციის კეთილსინდისიერებისა თუ არაკეთილსინდისიერების საკითხი უშუალოდ უკავშირდება თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველყოფის მექანიზმს, ხშირ შემთხვევაში კი განსაზღვრავს კიდევაც ამ უკანასკნელს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველო არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი და ქვეყნის პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულება გვაგააღებულებს ამ ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნებისათვის თავისუფალი ვაჭრობის ხელშემწყობი გარემოს ფორმირებას და სასაქონლო ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას, ცხადი ხდება, თუ რამდენად საშურია ქვეყნის კონკურენციული კანონმდებლობის დაახლოვება შესაბამის ევროკანონმდებლობასთან.

საქართველოს კანონმდებლობაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დეფინიციისა და მისი გამოვლინების ცალკეულ სახეობათა მეტნაკლებად სრული ნუსხის არარსებობა უპირველეს ყოვლისა ურთულებს მდგომარეობას იმ ეკონომიკურ აგენტებს, რომელთა საქმიანობა მჭიდროდაა

დაკავშირებული უცხოელ პარტნიორებთან (რომლებისთვისაც აპრიორულად მიუღებელი და წარმოუდგენელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამ სფეროში შესაბამისი შემზღუდავი და ამკრძალავი საკანონმდებლო მექანიზმის არარსებობა), პატენტრწმუნებულებს და სასამართლოებს. ამ უკანასკნელთ უხდებათ სამეწარმეო საქმიანობის სფეროში არაკეთილსინდისიერ ქმედებებზე სამოქალაქო სამართლის ნორმებით აპელირება, რაც მნიშვნელოვნად ართულებს და ახანგრძლივებს გადაწყვეტილებათა მიღებას კონკურენციის სფეროში. აქ მნიშვნელოვანია გავისხენოთ, რომ იმ მიზეზთა შორის, რომლებმაც განაპირობეს აშშ-ში ჯერ კიდევ 1890 წელს ანტიტრესტული კანონის მიღება და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების ფორმირება, იყო საერთო სასამართლოების გადატვირთულობა, ზოგადობა და შედეგად ხანგრძლივი ვადები, რაც ბიზნესისათვის და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისათვის დამღუპველია, რადგან აუცილებელია სასწრაფო და კვალიფიციური რეაგირება.

თავი 3.

კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და მისი საერთაშორისო ასპექტები

3.1. ეკონომიკური პოლიტიკის როლი კონკურენციული უპირატესობისა და კონკურენტუნარიანობის მიღწევის სტრატეგიაში

საზოგადოებას, რომელიც აშენებს თავისუფალ ეკონომიკურ სისტემას, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი კონკურენციის პოლიტიკა უნდა იყოს. ამასთან, ქვეყანამ რომ რეალურად გაატაროს კონკურენციული პოლიტიკა, აუცილებელია მაგრამ არასაკმარისი შესაბამისი საკონკურენციო კანონმდებლობის არსებობა. შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის პოლიტიკა არის სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფო ორგანოების მიდგომები და დამოკიდებულება, რომელთაც კანონით ვვალებათ კონკურენციისა და საკონკურენციო ურთიერთობების ზედამხედველობა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით.

კონკურენციის ეროვნული პოლიტიკა შეიძლება მოტივირებულ იყოს სხვადასხვა მიზნებით, როგორცაა სამართლიანობა, წესიერება, ვაჭრობის წახალისება და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. პრაქტიკაში კონკურენციული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ კონკურენცია არ იქნეს მიზანშეუწონლად შეზღუდული სახელმწიფოს და კერძო ეკონომიკური აგენტების დისკრიმინაციული, ან არაკეთილსინდისიერი ქმედებებით.

საზოგადოდ, კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია შიდა და გარე ბაზარზე ხელს უწყობს ქვეყნის ჩართვას შრომის საერთაშორისო განაწილებისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარების პროცესში, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ქვეყნის მონაწილეობას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასა და სხვა საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში. ამდენად, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს ქვეყნის შიდა ბაზარზე კონკურენციული ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და კონკურენციის პოლიტიკის თანამიმდევრული გატარება.

კონკურენციის დაცვისა და რეგულირების ეფექტური მექანიზმით “შეიარაღებული” ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყანას აძლევს რეალურ საშუალებას საყოველთაოდ მიღებული კანონიერი გზით დაიცვას შიდა ბაზარი ეკონომიკურ აგენტთა, მათ შორის იმპორტიორთა მხრიდან კონკურენციის შემზღუდავი მოსალოდნელი ქმედებებისაგან და უზრუნველყოს ასეთი ქმედებებით გამოწვეული ზიანის საკომპენსაციო მარეგულირებელი სპეციალური ზომების განხორციელება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კონკურენციულ კანონმდებლობის სრულყოფილებას შედარებით მცირე ზომის ქვეყნებისათვის (მცირე ზომის ეკონომიკის მქონეთათვის), მით უმეტეს, თუ ისინი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებს წარმოადგენენ. საქმე იმაშია, რომ გლობალიზაციის პროცესი, რომელიც განსაკუთრებით გააქტიურდა მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან, უშუალოდ ზემოქმედებს თითოეული ქვეყნის ეკონომიკის, მისი დარგებისა თუ პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონესა და ხარისხზე. თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი ცალკე აღებული ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა დიდადაა დამოკიდებული მისი ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების დონეზე. გლობალიზაცია და ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული პროცესებია და ხასიათდებიან რიგი წინააღმდეგობრივი ურთიერთობებით ინდივიდების, კომპანიების, დარგების და ქვეყნების ეკონომიკურ ინტერესებს შორის.

ცხადია, გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში, რაც ერთის მხრივ აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკისა და მისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, სერიოზული საშიშროება ექმნება მცირე ზომის ქვეყნის ეკონომიკას, რომ ამ ქვეყანაში არსებულ შედარებით მცირე ზომის ფირმებს (მსოფლიო მასშტაბით) არ შეექმნას ბარიერები ბაზარზე თავისუფალი ფუნქციონირებისათვის მსხვილი, ტრანსნაციონალური კომპანიებისა და მათი ფილიალების მხრიდან მოსალოდნელი დისკრიმინაციული, კონკურენციის შემზღუდავი საბაზრო ქცევის პირობებში. ამ თვალსაზრისით, კონკურენციული კანონმდებლობაა ის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს სათანადო ჯანსაღი კონკურენციული ბიზნეს-გარემო ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ეკონომიკური აგენტისათვის და უპირველეს ყოვლისა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთათვის.

აღნიშნულ გარემოებათა ანალიზი იძლევა საფუძველს ითქვას, რომ კონკურენციული კანონმდებლობის სრულყოფილება და მისი პრაქტიკული რეალიზაციის ეფექტურობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისეთი მცირე ზომის ქვეყნების, როგორც საქართველოა, ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და გარკვეულწილად პოლიტიკურსაც, რადგან მას შეუძლია უზრუნველყოს სამამულო მწარმოებლებისათვის (რომლებიც ქვეყნის მასშტაბებიდან გამომდინარე ვერ იქნებიან მსხვილი კომპანიები) და საერთოდ ყველა მცირე და საშუალო ზონის ეკონომიკური აგენტისათვის ნორმალური პირობები ფუნქციონირებისათვის. ამ შემთხვევაში სამამულო საქონელმწარმოებლებსაც მიეცემათ საერთაშორისო ბაზრის ცალკეულ სეგმენტებზე კონკურენციული უპირატესობის მოპოვების შანსი.

სადავო არაა, რომ კონკურენციული უპირატესობის გარეშე, გლობალიზაციისა და საერთაშორისო კონკურენციის თანამედროვე ეტაპზე ნებისმიერი ქვეყანა განწირულია იმისათვის, რომ საერთაშორისო ბაზარზე მას ეკავოს მუდმივად მხოლოდ “მომხმარებლის ნიშა”, ხოლო მისი მოსახლეობა თავისი მოხმარების მოცულობითა და სტრუქტურით იყოს ასევე მუდმივად “ღარიბთა” კატეგორიაში. სწორედ ამიტომ სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ თეორიული გამოკვლევები და პრაქტიკული ხასიათის დამუშავებები კონკურენციული უპირატესობის მიღწევის სტრატეგიისა და ტაქტიკის სფეროში. სამწუხაროდ, საქართველოში კვლევის ამ სფეროსადმი ჯერჯერობით სათანადო ყურადღება და რესურსები არაა კონცენტრირებული, მაგრამ ფაქტია, რომ საყოველთაოდ აღიარებულ საკონკურენციო ნორმებზე დაყრდნობილი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და მისი აღმასრულებელი შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილი ინსტიტუტის ეფექტური მუშაობის გარეშე შეუძლებელია ამ მიზნის მიღწევა.

საუკუნის წინ, ისეთი ქვეყნებიც კი, რომლებიც დღეისათვის მაღალგანვითარებულად ითვლებიან, ეკონომიკაში წამყვან როლს მცირე საწარმოებს ანიჭებდნენ. მოგვიანებით, ამ ქვეყნების ეკონომიკაში დიდი ადგილი დაიკავეს მსხვილმა კორპორაციებმა, რომლებიც მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ და დღეისთვისაც წარმოადგენენ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში. ამასთან, დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე ეკონომისტებმა დაასკვნეს, რომ მსხვილი საწარმოების მოძრავლება,

როგორც წესი, აკნინებს კონკურენციას და ხელს უშლის არსებული რესურსების ოპტიმალურ ათვისება-გამოყენებას.

საზოგადოდ, კონკურენციის პოლიტიკა ეფუძნება იმ ფუნდამენტურ ეკონომიკურ თეზისს, რომლის მიხედვითაც საბაზრო ძალაუფლების მოპოვებამ და მისმა გამოყენებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის დონეს. ამასთან, კონკურენციული პოლიტიკის მექანიზმებმა ხელი უნდა შეუწყოს საერთოდ ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების განვითარებას და კონკრეტულად ისეთი კონკურენტუნარიანი ფირმების შექმნას, რომელთაც შეუძლიათ საქონლისა და მომსახურების მიწოდება როგორც საკუთარი ქვეყნის მოსახლეობისათვის, ასევე უცხოელთათვის საერთაშორისო ვაჭრობასა და კონკურენციაში მონაწილეობის საფუძველზე.

კონკურენცია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ დოქტრინასა თუ ეკონომიკურ კონცეფციაში განიხილება როგორც წარმატებულად განვითარებადი ეკონომიკის საფუძველი. კონკურენციის დაცვა და ანტიკონკურენციული ქმედებების გამოვლენა არის სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ამოსავალი პრიორიტეტი, რომლის აღსრულებისა და უზრუნველყოფის მიზნით დღეისათვის მსოფლიოს დაახლოებით 90 ქვეყანაშია შექმნილი საკონკურენციო სამართლის ეროვნული სისტემები.

სამწუხაროდ, საქართველოს კანონი “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” თავისი შინაარსით და კონკურენციის სფეროში საყოველთაოდ დამკვიდრებული ნორმებისა და კრიტერიუმებისადმი შესაბამისობის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უკან გადადგმული ნაბიჯია ადრინდელ /“მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ”/ კანონთან შედარებით; მას არაფერი აქვს საერთო კონკურენციული კანონმდებლობის არც ამერიკულ და არც ევროპულ მოდელთან, არ ასახავს რა ეკონომიკურ აგენტთა დომინირებული მდგომარეობის, კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებებისა და შერწყმების, ასევე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთისა და რეგულაციის პრობლემატიკას.

არადა დღეს უკვე სადაო არაა (არ უნდა იყოს), რომ საზოგადოდ გარე სამყაროსთან და კერძოდ, მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საერთაშორისო საკონკურენციო ნორმებთან და კრიტერიუმებთან ჰარმონიზებული ქვეყნის საკონკურენციო პოლიტიკა წარმოადგენს საბაზრო

ეკონომიკის საფუძველს; მის სწორ წარმართვაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობა და მისი დინამიური და სამართლიანი განვითარება. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეებს და მთლიანად საზოგადოებას კარგად ექნება გაცნობიერებული ანტიმონოპოლიური რეგულირების აუცილებლობა და მისი რეალიზაციის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტრუმენტარის ობიექტურობა და ეფექტურობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს რადიკალურად ახალი კანონი კონკურენციის შესახებ (არსებულში კოსმეტიკური ცვლილებებისა და დამატებების შეტანა საქმეს ვერ უშველის), რომელშიც გათვალისწინებულ იქნება არსებული მსოფლიო გამოცდილება მოდელური კანონის სახით და მაქსიმალურად დაუახლოვდება ევროკავშირის საკონკურენციო კანონმდებლობას და ასევე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს კონკურენციის სფეროში.

3.2. საქართველოს საკონკურენციო პოლიტიკა და ევროკავშირი

გლობალიზაციისა და ეკონომიკური კავშირურთიერთობების ინტერნაციონალიზაციის პირობებში, კონკურენცია, ისევე, როგორც მისი არალეგალური შეზღუდვის საშუალებები, იძენს საერთაშორისო ხასიათს. საერთაშორისო მასშტაბით კონკურენციის პრინციპების და საყოველთაოდ აღიარებული კონკურენციის ნორმების ოპტიმალურ დონეზე უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვნად ძლიერდება საერთაშორისო სამართლის როლი; მალდება სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობა ორმხრივ და რეგიონალურ დონეებზე და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოებში.

შეუძლებელია იმ როლის გადაჭარბებით შეფასება, რომელსაც იძენს საერთაშორისო კონკურენციაში ეროვნული ეკონომიკის ინტერესების დაცვის ეფექტური მექანიზმის შემუშავება და რეალიზაცია. აღნიშნულის განხორციელების მიზნით აუცილებელია უპირველეს ყოვლისა ბიზნესის გარემოს განმსაზღვრელი და უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტების: კონკურენციული გარემოს, საინვესტიციო და საბაჟო გარემოს, საგადასახადო და სავალუტო რეჟიმის მახასიათებელი

პარამეტრების შესწავლა, მათი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ნორმებთან და წესებთან და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობის დადგენა და ევროკანონმდებლობასთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესის შეფასება,

ბიზნესის გარემოს რაციონალური პარამეტრების ფორმირება და შენარჩუნება დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობაზე, ვაჭრობის ლიბერალიზაციის ხარისხზე, სატარიფო და არასატარიფო რეგულირების დონეზე, საინვესტიციო, საბაჟო და საგადასახადო რეჟიმზე და განსაკუთრებით კონკურენციული გარემოს ხარისხზე. ქვეყნის ხელისუფლებისა და დაინტერესებული ბიზნეს-წრეების ეკონომიკური აქტივობის შედეგიანობაზე უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ეფექტიანად გამოყენების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყანაში არსებული კონკურენციული კანონმდებლობის ხასიათი და კონკურენციული გარემო.

ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციებმა და მისი გლობალიზაციის ხარისხმა განაპირობეს თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობისა და არადისკრიმინაციული ვაჭრობის მოსურნე სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან და მათ შორის საქართველოს მიერ ვალდებულებების ნებაყოფლობით აღება (მათ შორის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას) ეროვნული კანონმდებლობის ნორმების ევროკანონმდებლობის პარამეტრებთან ჰარმონიზაციის შესახებ და ქვეყნის ტერიტორიაზე კონკურენციის სფეროში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების მაქსიმალურად დაცვის თაობაზე /მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 8 მაისის №22 დადგენილებით დამტკიცებულია და ხორციელდება “საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა”/.

ცნობილია, რომ საქართველოში 2005 წლის 3 ივნისს მიღებულია და იმავე წლის 12 ივლისიდან მოქმედებს კანონი “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ”, რომელმაც ძალადაკარგულად გამოაცხადა “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონი და ამ კანონის ქვემდებარე ნორმატიული აქტები. კონკურენციის მარეგულირებელი ახალი კანონის მიზანს შეადგენს ორგანიზაციულ-

სამართლებრივი და საკუთრების ფორმის მიუხედავად, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისათვის საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციისათვის ბარიერების მოხსნა. კანონმა განსაზღვრა სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის იმ აკრძალულ ქმედებათა ნუსხა, რომლებიც ზღუდავენ კონკურენციას; კანონი ფაქტობრივად აყალიბებს სახელმწიფო დახმარებებისა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების აკრძალვის მექანიზმსა და განსაზღვრავს იმ გამონაკლისებს, რა შემთხვევაშიც შეიძლება ნება დაერთოს მათ გამოყენებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონის მიღებამდე საქართველოს კონკურენციული კანონმდებლობა არ შეიცავდა დახმარებების, შეღავათებისა და მიზნობრივი პროგრამების განყოფილებას, რაც მის უარყოფით მხარედ ითვლებოდა. ამ თვალსაზრისით “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონი წინ გადადგმული ნაბიჯია ევროკავშირის საკონკურენციო კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით. კანონი ასევე ყურადღებას უთმობს რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებს და განსაზღვრავს განსაკუთრებული საკუთრების მფლობელთა ვალდებულებებს თავის ქსელში ან ინფრასტრუქტურაში სხვა ეკონომიკურ აგენტთა არადისკრიმინაციული პირობებით დაშვების აუცილებლობის თაობაზე.

საქართველოს საკონკურენციო კანონმდებლობა, გარდა აღნიშნული კანონისა, შედგება სხვა მრავალი კანონის, საკანონმდებლო აქტისა და მათი ცალკეული ნაწილებისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ სფეროში კონკურენციული ურთიერთობების დაცვისა და განვითარების თეორიულ საკითხებსა და ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმს. კერძოდ, 2005 წლის 2 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ”, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი (IV თავი) ეთმობა “ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება“-ს; კანონის მითითებული ნაწილი მოიცავს კონკურენციის თეორიასა და პრაქტიკაში საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვის საკმაოდ აპრობირებულ და სრულყოფილ მექანიზმს, რომელსაც ასევე ეყრდნობა ევროკავშირის კონკურენციული კანონმდებლობა. კანონით გათვალისწინებულ მრავალ, კონკურენციის დამცავ მუხლიდან და დებულებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 21, 22, 23, 27 და 32 მუხლები,

რომლებიც არეგულირებენ კონკურენციას და მოიცავენ მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის პრინციპებს, ეტაპებს; ასევე მოცემულია დებულებები მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის განსაზღვრისა და მათ მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე. კანონი ადგენს შერწყმის და წილის შექმნის გამოკვლევის პროცედურას; ამასთან, განსაზღვრავს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალის მქონე ეკონომიკური აგენტების სპეციფიურ ვალდებულებებს, მათ შორის ქსელში სხვა ეკონომიკური აგენტების დაშვებისა და საერთოდ, დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ. რაც შეეხება კომუნიკაციების სფეროში კონკურენციული გარემოს ფორმირების მიზნით საკანონმდებლო აქტებით დადგენილი ზომების განხორციელებას, იგი ევალუა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რომლის უფლებამოსილება სხვა მარეგულირებელ კომისიებთან (საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისია) ერთად განსაზღვრულია კანონით “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” (მიღებულია 13.09.2002წ.). ეს კანონი ადგენს კონკურენციის დაცვისა და განვითარების მიმართულებით შესაბამის სფეროებში მარეგულირებელი ორგანოების უფლებებსა და ვალდებულებებს; ინფრასტრუქტურული დარგები, სადაც კონკურენცია შეზღუდულია (ბუნებრივად) და სადაც ძალისმიერი, ან სხვა მეთოდებით კონკურენციის დამკვიდრება აუცილებლად გამოიწვევს უკუეფექტს რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ჯამური კეთილდღეობის ზრდის ასპექტში, სახელმწიფოს მხრიდან ექვემდებარებიან მუდმივ კონტროლსა და რეგულირებას, პირველ რიგში კი ტარიფების დადგენა-დამტკიცებისა და განსაკუთრებული საკუთრების მფლობელის მიერ ინფრასტრუქტურის სფეროში არადისკრიმინაციული პირობებით სხვა ეკონომიკური აგენტების თავისუფალი დაშვების (გატარების) თვალსაზრისით, რათა მაქსიმალურად იქნეს ერთის მხრივ დაცული მომხმარებელთა უფლებები და მეორეს მხრივ, შეზღუდვებმა რეგულირებად სფეროებში უარყოფითი ზეგავლენა არ მოახდინონ კონკურენტულ გარემოზე სხვა სფეროებში.

ცალკე აღნიშნავს საჭიროებს კონკურენციის დაცვისა და რეგულირების საკითხი საბანკო სფეროში. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად (“საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” და “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” კანონები) საბანკო საქმიანობაზე საერთო ზედამხედველობა და მათ შორის კონკურენტული ურთიერთობების რეგულირება საბანკო სფეროში აკისრია საქართველოს ეროვნულ ბანკს; ამ კანონებითვეა განსაზღვრული საბანკო სფეროში აღნიშნული ფუნქციების აღსრულების პროცედურა და კონკრეტული მექანიზმი.

საქართველოს ერთიანი საკონკურენციო კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს ასევე “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ”, “წიაღის შესახებ”, “დაზღვევის შესახებ” და საქართველოს რიგი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების ის თავები, პარაგრაფები და დებულებები, რომელთა დანიშნულებაა შესაბამის დარგსა თუ სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირება, კონკურენციის დაცვა და ბიზნესის განვითარებისათვის არადისკრიმინაციული, ჯანსაღი სამეწარმეო პირობების ჩამოყალიბება-ფორმირებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა.

ანალიზი იძლევა საფუძველს ითქვას, რომ 1996წელს პარლამენტის მიერ “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მიღების შემდგომ პერიოდში საქართველოს კონკურენციული კანონმდებლობა შეივსო და რიგ სფეროებსა და დარგებში დაუახლოვდა საყოველთაოდ აღიარებულ, მათ შორის ევროკავშირში არსებულ საკონკურენციო ნორმებსა და სტანდარტებს. ცხადია, ეს დადებითი მოვლენაა და ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის მიმზიდველი გარემოს ფორმირებას, რამაც თავის მხრივ საგრძნობლად უნდა გააუმჯობესოს საინვესტიციო კლიმატი როგორც ქართველი, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის.

ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რიგი პოზიტიური საკანონმდებლო ნოვაციის მიუხედავად, ჯერჯერობით ჩვენი ქვეყნის კონკურენციული კანონმდებლობა საკმაოდ შორსაა სრულყოფილებისაგან და სამწუხაროდ, მისი ზოგიერთი ნაწილი აშკარად ვერ პასუხობს კონკურენციის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე მოთხოვნებს, რადგან მნიშვნელოვნად არის დაცილებული კონკურენციის დაცვისა და რაციონალური კონკურენციული გარემოს მახასიათებელი ადეკვატური საკონკურენციო სამართლებრივი ნორმებისაგან. ეს ეხება უპირველეს

ყოველისა “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონს, რომელსაც ჩარჩო-კანონის როლი აკისრია საქართველოს კონკურენციულ კანონმდებლობაში როგორც იერარქიული, ისე ფუნქციონალური დატვირთვის თვალსაზრისით და ამდენად, ბუნებრივია უფრო მეტი მოთხოვნებიც წაყენება.

საქართველოს, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების და მისგან გამომდინარე ორმხრივი დოკუმენტების შესაბამისად, აქვს რიგი ვალდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე კანონმდებლობის სრულყოფის და მათი ჰარმონიზაციის თაობაზე და მათ შორის კონკურენციის სფეროში. აღნიშნულ ვალდებულებათა შესრულების ვადები და ხარისხი ალბათ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნისადმი და მისი ეკონომიკისადმი პერსპექტივაში. საერთოდ, წარმატებული ეკონომიკური რეფორმების პოლიტიკა, რომელმაც უნდა შექმნას თავისუფლად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა, ვერ განხორციელდება, თუ ქვეყანაში არ იარსებებს კონკურენციის დაცვის ძლიერი სამართლებრივი სისტემა და მისი აღმასრულებელი შესაბამისი ინსტიტუტი.

საქართველოს ხელისუფლებისა და მისი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უდაო პრიორიტეტი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველყოფი რეჟიმის მიღწევა და შენარჩუნებაა. თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის რეჟიმს და საერთოდ, ეკონომიკის გლობალიზაციის პრობლემატიკას მჭიდროდ უკავშირდება დემპინგური ფასების შესაძლო გამოყენების საკითხი. მნიშვნელოვნად გვეჩვენება, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მოქმედი დებულების ჩარჩოებში, არსებულ ნორმებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ქვეყნის საკონკურენციო პოლიტიკის სრულყოფისა და მისი ევროსტანდარტებთან დაახლოებისათვის საკონკურენციო ორგანომ შეიმუშაოს “საქართველოში დემპინგური ფასების გამოვლენისა და აღკვეთის წინადადებები”-ს პროექტი და კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების შენიშვნების გათვალისწინებით, არსებული პროცედურის თანახმად განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს მთავრობას. აქტუალურად გვეჩვენება ასევე დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ირგვლივ მიმდინარე კრიტიკული

შეფასებებისა და რადიკალურ საკანონმდებლო ცვლილებათა კონტექსტში სააგენტოსა და მარეგულირებელ კომისიებს შორის უფლებამოსილებებისა და მოვალეობების ოპტიმალური გამიჯვნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონის სრულყოფა მასში შესაბამისი, კონკურენციის სფეროში საყოველთაოდ აღიარებული და უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირის ნორმებისა და პრინციპების გათვალისწინებით შემუშავებულ საკანონმდებლო ცვლილებათა შეტანის საფუძველზე და შეიქმნას ხელისუფლების მხრიდან მაქსიმალურად მხარდაჭერილი, სათანადო უფლებამოსილებებით აღჭურვილი, კონკურენციის სფეროში შესაბამისი, საჭიროების შემთხვევაში რადიკალური გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე ორგანო.

ზოგადად, კონკურენციის თეორიის ძირითადი დებულებების და თანამედროვე პრაქტიკის თანახმად ქვეყანაში საკონკურენციო პოლიტიკის როლი არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მხოლოდ კონკურენციული კანონმდებლობის სადამსჯელო მექანიზმის აღსრულებამდე იმ ეკონომიკური აგენტების მიმართ, რომლებიც ბოროტად იყენებენ თავიანთ საბაზრო ძალაუფლებას. კონკურენცია შეიძლება შესუსტდეს ასევე სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი, კონკურენციის თვალსაზრისით დაუბალანსებელი ზომების გატარების მეშვეობით, ხოლო ბაზრის ცალკეული სუბიექტების (ეკონომიკური აგენტების) საბაზრო ძალაუფლება დაუმსახურებლად გაძლიერდეს საბაზრო ურთიერთობებში სხვადასხვა მეთოდებით სახელმწიფოს დაუსაბუთებელი და გაუაზრებელი ჩარევის, ხოლო ზოგჯერ ჩაურევლობის შედეგად. ამიტომაც, კონკურენციის ორგანოების მონაწილეობა აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა თუ კორექტირების ყველა სტადიაზე, იმ მიმართულებებში მაინც, რომელთაც შეუძლიათ უშუალოდ მოახდინონ ზეგავლენა ბაზრის კონკურენციულ სტრუქტურაზე.

კონკურენციის, როგორც ბიზნესის სხვადასხვა სფეროებში საბაზრო ქცევის რეგულიატორის, დაცვისა და გაძლიერების მიზნით სახელმწიფომ სერიოზული ძალისხმევა უნდა მიმართოს საკონკურენციო პოლიტიკისა და შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფის, ანტიმონოპოლიური რეგულირების ეფექტური მექანიზმის შემუშავებისა და რეალიზაციის მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. – ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი I, გამბა „უნივერსალი“, თბ. 2008წ.
2. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. – ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი 2, გამბა „უნივერსალი“, თბ. 2009წ.
3. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), გამბა „ლო“, თბ. 2007;
4. გოგიაშვილი შ., მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება. თავი IX - წიგნში ბიზნესის სამართლის საფუძვლები (სახელმძღვანელო). ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს გამოცემა. 2005წ.
5. გოგიაშვილი შ., კონკურენტული კანონმდებლობა და ბიზნესის გარემო საქართველოში. ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, №1, 2006;
6. გოგიაშვილი შ. კონკურენცია და კანონმდებლობა. “ბიზნეს-მაცნე“ (ჟურნ. “ბიზნესი და კანონმდებლობის“ ყოველთვიური დამატება) №1, 2008წ.;
8. გოგიაშვილი შ., ბიზნესი და ბუნებრივი მონოპოლიები. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №6, თბ., 2007;
9. გოგიაშვილი შ., კონკურენციის პოლიტიკა და ქართული რეალობა. ჟურნ. „გადასახადები“, №4., თბ., 2000;
10. გოგიაშვილი შ., გოგიაშვილი ნ., დემპინგი და ანტიდემპინგი. ჟურნ. „მაკრომიკრო ეკონომიკა“, თბ., 1998;
11. გოგიაშვილი შ. სახელმწიფო და ბიზნესი ჟურნ. “ბიზნესი და კანონმდებლობა“, №19-20 თბ., 2007წ.
12. გოგიაშვილი შ. კონკურენციის განვითარებისა და დაცვის მნიშვნელობა სიღარიბის დაძლევის საქმეში. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული I “ბიზნესი და საყოველთაო კეთილდღეობა”. გამბა-ლაშაშვილი” თბ.2008წ.
13. გოგიაშვილი შ. სახელმწიფოს როლი ქვეყანაში ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს ფორმირების საქმეში. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი” №3, 2008წ.
14. გოგიაშვილი შ. საქართველოს საკონკურენტო პოლიტიკა და ევროკავშირი – I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (22-24 ოქტომბერი, 2008წ.) ”გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები” მასალები. გამბა-“უნივერსალი”, თბ. 2008წ.
15. გოგიაშვილი შ. კონკურენცია და მონოპოლიზმი: საზოგადოებრივი კეთილდღეობა, თუ სიღარიბე. ჟურნ. “ბიზნესი და კანონმდებლობა”, №3. 2009წ.
16. გოგიაშვილი შ. ეკონომიკური პოლიტიკის როლი კონკურენტული უპირატესობისა და კონკურენტუნარიანობის მიღწევის სტრატეგიაში. ჟურნ. “ბიზნესი და კანონმდებლობა”, №5. 2009წ.
17. გოგიაშვილი შ. ეკონომიკური პოლიტიკა და კონკურენცია, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე”(2 ივლისი, 2009). თბ. 2009წ.
18. გოგიაშვილი შ. საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაცია და მისი მახვენებლები. ჟურნ. “ეკონომისტი” № 3. თბ. 2009წ.
29. ლაფაჩი ქ., მონოპოლიური ქცევის კონტროლის მექანიზმების სრულყოფის საკითხები, ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, ქართული სამართლის მიმოხილვა, მეორე კვარტალი, თბ., 2001;

20. ვ. მაისურაძე, ქ. ლაფანი, შ. გოგიაშვილი, ს. ფეტელავა, გ. მელაძე, კრებული საქართველოს საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისათვის, საქართველოს ბიზნეს-სამართლის ცენტრი, თბ., 1999;
21. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ (3 ივნისი 2005 წელი);
22. საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ (25 ივნისი 1996 წელი);
23. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ (2 ივნისი 2005 წელი);
24. საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ (13 სექტემბერი 2002 წელი);
25. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 2002 და 2003 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის ანგარიში, „არადანი“ თბ., 2003წ;
26. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს 2007 წლისათვის გაწეული მუშაობის ანგარიში. გამ-ბა «ლოი», თბ., 2008წ.
27. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს პირველი წლიური ანგარიში (2005 წლის 23 აგვისტოდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე) გამ-ბა «ლოი», თბ. 2007წ.
28. ტუშური ა., ურჯუმელაშვილი ტ., საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ მიმოხილვა – ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის შურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“. I-II კვარტალი, თბ., 2000;
29. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ. ევროკავშირის საკონკურენციო სამართლის მიმოხილვა. შურნ.“ეკონომიკა”№9-10; 2006წ.
30. ფეტელავა ს., მსჯელობა საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის სრულყოფის საკითხებზე. თბ., „ლოი“, 2007
31. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლოი“, 2007
32. Агаев Р. Г. Антимонопольная деятельность государства: теоретические и организационно – правовые аспекты. М., 1994г.
33. Гелхорн Э., Ковасик В. Антитрестовское законодательство и экономика. Вашингтон. 1994г.
34. Конкуренция и антимонопольное регулирование. Под редакцией А. Г. Цыганова. М. Логос., 1999г.
35. Коробов В. О. Антимонопольное законодательство: экономика и применение. Йошкар – Ола, 1996г.
36. Тотьев К.Ю. Конкурентное право (правовое регулирование субъектов конкуренций и монополий). М. 2003 г.
37. Тотьев К.Ю. Конкуренция и монополии: правовые аспекты регулирования .М.1996
38. Ячейстова Н. И. Международная конкуренция: законодательство, регулирование и сотрудничество. Женева, 2001г.
39. Eucken W., Grundsätze der Wirtschaftspolitik, UTB 1572, 6, Aufl., Tuebingen 1990.
40. Fingleton J., Fox E., Nevers D., Seabright P., Competition Policy and the Transformation of Central Europe, London, CEPR, 1996.
41. Hayek F., Individualism and Economic order, Chicago, Univ. of Chicago Press., 1948

42. Khan M., Klausner M – Lockups and the market for corporate control // stanford law review 1996.
43. Roth W. H. European competition policy for the insurance market// European competition law review – 2000.
44. Varady T. – The emergence of competition law in (former) socialist countries// American journal of comparative law 1999.

၇၁၆၁၈၇၀

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ ი

მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ

კანონში გამოყენებული ძირითადი ცნებები

ეკონომიკური აგენტი (მეწარმე-სუბიექტი) - იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, განურჩევლად საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა და საქმიანობის ხასიათისა.

ურთიერთშენაცვლებადი საქონელი - საქონელთა ჯგუფი, რომლებიც ფუნქციური დანიშნულების, გამოყენების, ხარისხის, ტექნიკური მახასიათებლების, ფასის ან სხვა პარამეტრების მიხედვით იმდენად მსგავსია, რომ მყიდველი ცვლის ან მზადაა შეცვალოს ერთი საქონელი მეორით მოხმარების (მათ შორის საწარმოო) პროცესში.

კონკურენცია - ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედი ეკონომიკური აგენტების მეტოქეობა, რის პროცესშიც თითოეული მათგანის ქმედება ზღუდავს მეტოქის შესაძლებლობას უპირატესობა მოიპოვოს ბაზარზე და ხელს უწყობს მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის წარმოებას.

კონკურენციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ბაზარზე ერთდროულად გამოდის რამდენიმე ეკონომიკური აგენტი, ხდება ურთიერთშენაცვლებადი საქონლის მიწოდება და მოხმარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ფასის, ხარისხის, შეფუთვის, სერვისის და სხვა ეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით.

მონოპოლიური მდგომარეობა - ეკონომიკური აგენტის, სახელმწიფო ორგანოს განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე და შეზღუდოს კონკურენცია.

მონოპოლიური საქმიანობა - საქმიანობა, რომელიც ეკონომიკურ აგენტს საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს სასაქონლო ბაზარზე ურთიერთშენაცვლებადი (კონკურენტული) საქონლის საბაზრო ფასზე და შეზღუდოს კონკურენცია.

ბუნებრივი მონოპოლია - სასაქონლო ბაზრის მდგომარეობა, როდესაც ამ ბაზარზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე (წარმოების მასშტაბების გაფართოების შესაბამისად პროდუქციის ერთეულზე საწარმოო დანახარჯების არსებით შემცირებასთან დაკავშირებით) უფრო ეფექტურია კონკურენციის არარსებობის პირობებში, ხოლო ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების მიერ წარმოებული საქონელი შეუძლებელია მოხმარებისას შეიცვალოს სხვა საქონლით, რის გამოც მოთხოვნილება ბუნებრივი მონოპოლიის პროდუქციაზე, სხვა სახის საქონელზე მოთხოვნილებასთან შედარებით, ნაკლებად არის დამოკიდებული ამ საქონლის ფასის ცვლილებებზე.

თავი 1

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. ამ კანონის მიზანია საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობისა და კონკურენტული გარემოს შექმნისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.
2. ეს კანონი განსაზღვრავს ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) პასუხისმგებლობას მის მიერ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის და სხვა ქმედებისათვის, რაც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა ბაზარზე.
3. ეკონომიკურ აგენტს ეკრძალება მონოპოლიური საქმიანობა.
4. ბუნებრივი მონოპოლიების სახელმწიფო რეესტრს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 2.

საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონსა და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისაგან.

მუხლი 3.

ამ კანონის შესრულებისადმი სახელმწიფო კონტროლი ეკისრება საქართველოს ანტიმონოპოლიურ სამსახურს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სხვა ტერიტორიულ ერთეულებში - ამ კანონით უფლებამოსილ ანტიმონოპოლიური ორგანოს შესაბამის სამსახურებს.

თავი 2

კანონის მოქმედების სფერო

მუხლი 4.

1. ეს კანონი ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც ქვეყნის სასაქონლო(პროდუქცია, სამუშაო, მომსახურება) ბაზარზე გავლენას ახდენენ კონკურენციაზე და რომლებშიც მონაწილეობენ იურიდიული და ფიზიკური (მათ შორის უცხოელი) პირები, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები: სამინისტროები, სხვა სახელმწიფო უწყებები და დაწესებულებები, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები.

2. კანონი ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც აღნიშნული პირების მიერ, საქართველოს ფარგლებს გარეთ განხორციელებული ქმედება ან დადებული შეთანხმება ზღუდავს (შეიძლება შეზღუდოს) კონკურენციას ან უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის სასაქონლო ბაზარზე.

მუხლი 5.

1. ეს კანონი არ ვრცელდება საავტორო და გამომგონებელთა უფლებებთან, სავაჭრო ნიშნებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე.

2. საქართველოს პარლამენტს, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, უფლება აქვს ნაწილობრივ ან მთლიანად არ გაავრცელოს ამ კანონის მოქმედება მონოპოლიური საქმიანობის ცალკეულ სახეობებზე.

მუხლი 6.

ფასიანი ქაღალდებისა და საფინანსო მომსახურების ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობასა და არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ურთიერთობები გავლენას ახდენენ ქვეყნის სასაქონლო ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე.

მუხლი 7.

თუ ანტიმონოპოლიური საქმიანობის სფეროში საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებულ წესებს.

თავი 3

კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვა

მუხლი 8.

ეკონომიკურ აგენტს ეკრძალება დადოს ისეთი ხელშეკრულება ან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც პირდაპირ და არაპირდაპირ იწვევს კონკურენციის შეზღუდვას, კერძოდ:

- ა). ზღუდავს ერთ-ერთ მხარეს ბაზრის, მომარაგების წყაროების, მიმწოდებლების ან მომხმარებლების შერჩევაში;
- ბ). ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთ პარტნიორს აკისრებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის სანაცვლოდ ან დამატებით მიაწოდოს, შეისყიდოს ისეთი საქონელი, რომელიც არც საგნობრივად და არც ვაჭრობის წესით დაკავშირებული არ არის ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქონელთან;

- გ). არსებითად ზღუდავს კონკურენციას ურთიერთშენაცვლებადი საქონლის ბაზარზე.

მუხლი 9.

1. იკრძალება არაკეთილსინდისიერი კონკურენცია.
2. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებად ითვლება:
 - ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც ადრესატს უქმნის არასწორ წარმოდგენას და ამით უბიძგებს გარკვეული სამეურნეო ქმედებისაკენ;
 - ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონტრაგენტის შეცდომაში შეყვანის მიზნით გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;
 - გ) კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა დემპინგური ფასების გამოყენებითა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გზით;
 - დ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტირება;
 - ე) კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო დასახელების თვითნებური გამოყენება;
 - ვ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული გაფორმების მითვისება;
 - ზ) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, სავაჭრო ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე.

მუხლი 10.

სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალება:

- ა). სახაზინო საწარმოების გაერთიანება, შერწყმა, კავშირების, ასოციაციების, კონცერნების, კონსორციუმების, მართვის

შუალედური რგოლების, დარგთაშორისი და რეგიონალური გაერთიანებების შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებასა და შეზღუდვას;

- ბ). დააწესოს ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათები, რომლებიც კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს მას და იწვევს კონკურენციის შეზღუდვას;
- გ). აკრძალოს, შეაჩეროს ან სხვაგვარად შეაფერხოს ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობა და დამოუკიდებლობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- დ). საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციის მიზნით შექმნას სახელმწიფო სტრუქტურები, ან უკვე არსებულ სტრუქტურებს მიანიჭოს ისეთი უფლებამოსილება, რომელიც გამოიწვევს კონკურენციის შეზღუდვას;
- ე). მიიღოს გადაწყვეტილება, თუ ეს უკანასკნელი იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის მინიჭებას, რაც არსებითად ზღუდავს კონკურენციასა და თავისუფალ ფასწარმოქმნას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თავი 4

მონოპოლიური მდგომარეობა

მუხლი 11.

1. ეკონომიკური აგენტი ჩაითვლება მონოპოლიური მდგომარეობის მქონედ, თუ მისი წილი კონკრეტულ სასაქონლო ბაზარზე პირდაპირ ან არაპირდაპირ (ფილიალის, შვილობილი საწარმოს მეშვეობით ან სხვაგვარად) აღემატება ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობას.

2. ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ დადგენილი ზღვრული ოდენობის მაჩვენებლები ძალაში შედის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნების შემდეგ.

მუხლი 12.

იკრძალება შეთანხმება (კოორდინირებული მოქმედება) არაკონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომელთაგან ერთს უკავია მონოპოლიური მდგომარეობა, ხოლო მეორე მისი მომწოდებელი ან მომხმარებელია, რაც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს კონკურენციის არსებითი შეზღუდვა.

მუხლი 13.

მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს ეკრძალება თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ბაზრის სხვა მონაწილეთა დისკრიმინაციის მიზნით. მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს სხვა ეკონომიკური აგენტის თუ მომხმარებლის ინტერესების შელახვა, როგორცაა:

- ა) წარმოების შემცირება ან შეწყვეტა, საქონლის ამოღება სამეურნეო ბრუნვიდან და მისი დაგროვება დეფიციტის შექმნის ან შენარჩუნების, აგრეთვე ფასებზე ზემოქმედების მიზნით;
- ბ) სხვა ეკონომიკური აგენტისათვის ბაზარზე შეღწევის ან ბაზრიდან გამოსვლის, აგრეთვე, ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტის საქმიანობისათვის ხელშემშლელი პირობების შექმნა;
- გ) ბაზრის მონაწილისათვის დისკრიმინაციული პირობების შექმნა, რომლებიც მას თავს ახვევენ შესყიდვის ან გაყიდვის შეუსაბამოდ დაბალ ან მაღალ ფასებს, აგრეთვე, როდესაც ხელშეკრულების დადებას უკავშირებენ ისეთი დამატებითი პირობების შესრულებას, რომლებიც არც საგნობრივად და არც ვაჭრობის წესებით არ არის დაკავშირებული ხელშეკრულებასთან;
- დ) ხელშეკრულების დადების მიზნით ნებისმიერი სახის იძულება;

ე) მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასის დაწესება, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში მნიშვნელოვნად განსხვავდება პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯებისაგან;

ვ) საქონლის წარმოების შემცირება ან შეწყვეტა, რომელზეც არის მოთხოვნილება ან მომხმარებელთა დაკვეთა, თუკი არსებობს მისი ზარალის გარეშე წარმოების შესაძლებლობა;

ზ) დემპინგური ფასების გამოყენება;

თ) სხვა ქმედება, რომელიც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას ან ეკონომიკური აგენტისა თუ მომხმარებლების კანონიერი ინტერესების შელახვას.

მუხლი 14.

1. მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი, სხვა ეკონომიკურ აგენტთან გაერთიანებისას (შერწყმისას), ვალდებულია რეგისტრაციისათვის გაიაროს ანტიმონოპოლიური ექსპერტიზა.

2. ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში, სასამართლო უარს ეუბნება ეკონომიკურ აგენტს რეგისტრაციაში გატარებაზე.

მუხლი 15.

მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევისას სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია დასვას საკითხი შესაბამისი ორგანოების წინაშე მისი იძულებითი დაყოფის (დაწვრილერთულების) შესახებ, თუ არსებობს საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების შესაძლებლობა, ან განახორციელოს ანტიმონოპოლიური ზემოქმედების სხვა ღონისძიებები (ფიქსირებული ფასების, რენტაბელობის ზღვრული ნორმის დაწესება და სხვა).

თავი 5 ანტიმონოპოლიური სამსახური

მუხლი 16

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური არის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის სუბიექტი. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 17.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელების მიზნით ანტიმონოპოლიურ სამსახურთან 5 წლის ვადით იქმნება ანტიმონოპოლიური საბჭო თავმჯდომარისა და 10 წევრის შემადგენლობით. საბჭოს წევრებს ნიშნავს პრეზიდენტი, რომელთაგან სამი მომხმარებელთა, მეწარმეთა და სამეცნიერო ორგანიზაცია-დაწესებულებათა წარმომადგენელია.

ანტიმონოპოლიური საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არის ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი.

ანტიმონოპოლიური საბჭოს დებულებას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 18.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სხვა ტერიტორიულ ერთეულებში ფუნქციონირებენ შესაბამისი

ანტიმონოპოლიური სამსახურები, რომელთა უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელ ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 19.

საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურისა და მისი ტერიტორიული სამსახურების უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონით და ანტიმონოპოლიური სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 20.

ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ა) კონკურენციის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- ბ) მონოპოლიური საქმიანობისა და მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა;
- გ). არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით წინასწარი ღონისძიებების გატარება;
- დ). მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
- ე). სარეკლამო საქმიანობის რეგულირება;
- ვ). კონკურენციის შეზღუდვის და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენის მიზნით სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ანალიზი;
- ზ). წარმოების, მიმოქცევის, საფინანსო სფეროების დემონოპოლიზაციის ღონისძიებათა შემუშავება;

- თ). აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისათვის განსახილველად სავალდებულო წინადადებების წარდგენა კონკურენციის განვითარებისა და მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის ღონისძიებათა გატარების მიზნით;
- ი). ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების განხილვა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;
- კ). თანამშრომლობა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრის მიზნით.

მუხლი 21.

1. ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია:
 - ა). დასვას საკითხი შესაბამისი ორგანოს წინაშე იმ ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ, რომელიც დაარღვევს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას;
 - ბ). მოსთხოვოს ამ კანონის დამრღვევ ორგანოს, მის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასვას საკითხი შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე;
 - გ). მოსთხოვოს ეკონომიკურ აგენტს, ამ კანონის დარღვევით დადებული ხელშეკრულებისა და მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში;
 - დ). ეკონომიკური აგენტისაგან მოითხოვოს ცნობები მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო ურთიერთობების შესახებ;
 - ე). გაეცნოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას;

ვ). სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეამოწმოს და ამოიღოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; ამოღებული დოკუმენტები არ შეიძლება გამოქვეყნდეს და გამოიყენება მხოლოდ საქმის განხილვისას.

თუ დოკუმენტების და საქმესთან დაკავშირებული ფაქტების შემოწმების შედეგად არ დადასტურდა ანტიმონოპოლიური სამსახურის ეჭვი, იგი ვალდებულია ეკონომიკურ აგენტს მთლიანად აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენონით;

ზ). დააყენოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დამრღვევი თანამდებობის პირის ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი;

თ). სამინისტროებს, სხვა სახელმწიფო უწყებებსა და დაწესებულებებს, ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელ ორგანოებს მოსთხოვოს ნებისმიერი, მისთვის საჭირო ინფორმაცია, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში დააყენოს ამ ორგანოების თანამდებობის პირთა დისციპლინარული ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი;

ი). გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს თუ ეკონომიკური აგენტის თანამდებობის პირს, მოსთხოვოს ინფორმაცია აღძრულ საქმესთან დაკავშირებით და ამისათვის წინასწარ გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება დაშვებული დარღვევისა და საკითხის მოსმენის თარიღის შესახებ;

ეკონომიკურ აგენტს, ოფიციალური მოსმენის საჭიროების წარმოქმნისას უნდა მიეცეს საშუალება გაეცნოს ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მისი საქმის შესახებ შექმნილ დოკუმენტაციას.

თუ ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მოთხოვნის წარდგენიდან 30 დღეში შესაბამისი სახელმწიფო ორგანო ან ეკონომიკური აგენტი არ მიაწოდებს საჭირო ინფორმაციას აღნიშნულ სამსახურს, ეს უკანასკნელი აღძრულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მის ხელთ არსებული ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე;

კ). განსაზღვროს სამეურნეო საქმიანობის კონკრეტულ სფეროში ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე სასაქონლო-საფინანსო ბაზარზე ეკონომიკური აგენტების წილის ზღვრული ოდენობა, რომელიც ძალაში შედის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნების შემდეგ.

ამ მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელება ანტიმონოპოლიურ სამსახურს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი ეკონომიკური აგენტის მიერ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტებისა და მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ.

მუხლი 22.

თუ ანტიმონოპოლიური სამსახური დაადგენს ეკონომიკური აგენტის მიერ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტს, მას შეუძლია დაავალდებულოს ეკონომიკური აგენტი აღკვეთოს არსებული მდგომარეობა.

მუხლი 23.

მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ სხვა ეკონომიკური აგენტის (მისი შვილობილი საწარმოს) აქციების ან წილის (პაის) შექენისას საჭიროა ანტიმონოპოლიური სამსახურის საექსპერტო დასკვნა.

მუხლი 24.

ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა როგორც ეკონომიკური აგენტისათვის, ისე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის.

მუხლი 25.

ანტიმონოპოლიური სამსახური ვალდებულია:

ა) დაიცვას ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა;

ბ) განიხილოს შემოსული განცხადებები და შუამდგომლობები და განმცხადებელს აცნობოს პასუხი წერილობითი ფორმით განცხადების

შემოსვლის დღიდან არა უგვიანეს 30 დღისა;

გ) დაიცვას და არ გააგრძელოს სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოება. საიდუმლოების შემცველი მონაცემების გამჟღავნებისას მიყენებული ზარალი ანაზღაურდება ანტიმონოპოლიური ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

მუხლი 26.

ანტიმონოპოლიური სამსახური ვალდებულია წელიწადში ერთხელ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს.

თავი 6

პასუხისმგებლობა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევისათვის

მუხლი 27.

ამ კანონის დამრღვევ პირს ეკისრება მატერიალური, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 28.

ჯარიმების ოდენობა ამ კანონის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი 7**ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილების
გასაჩივრების წესი****მუხლი 29.**

ეკონომიკურ აგენტს, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს უშუალოდ მიმართოს სასამართლოს, შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და ამის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე სასამართლოში გაასაჩივროს ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილება.

მუხლი 30.

ეკონომიკურ აგენტს უნაზღაურდება სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ არაკანონიერი ქმედებით მიყენებული ზარალი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თბილისი, 1996 წლის 25

ივნისი.

საქართველოს კანონი
თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონების, ამ კანონისა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 2

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ეკონომიკური აგენტი – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. ეს ტერმინი აგრეთვე მოიცავს მოგებაზე არაორიენტირებულ კავშირებს, ფონდებსა და სხვა გაერთიანებებს, რომლებიც არიან ბაზრის მონაწილეები ან მოქმედებენ მეწარმეების, საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და პროფესიული გაერთიანებების ინტერესების შესაბამისად;

ბ) ეკონომიკური კონკურენცია – მეტოქეობა, რომლის დროსაც ეკონომიკური აგენტები ცდილობენ თავიანთი სამეწარმეო საქმიანობა კონკურენტებზე უფრო წარმატებით განახორციელონ, სთავაზობენ რა მომხმარებლებს უკეთეს პირობებს ფასებთან, ხარისხთან, შეფუთვასთან, მომსახურების სტანდარტებთან და სხვა ეკონომიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით;

გ) ურთიერთშენაცვლებადი საქონელი – საქონელი ან საქონელთა ჯგუფი, რომელიც ფუნქციური დანიშნულების, გამოყენების, ხარისხის, ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით ცვლის სხვა საქონელს ან საქონელთა ჯგუფს;

დ) სახელმწიფო დახმარება – სახელმწიფოს მხრიდან ერთჯერადი სახით, გარკვეული ვადითა და ნებისმიერი ფორმით გაწეული დახმარება; კერძოდ –

გადასახადებისაგან გათავისუფლება ან მათი გადავადება, ვალების ჩამოწერა, რესტრუქტურირება, სესხების გაცემა ხელსაყრელი პირობებით, სესხის შეღავათიანი გარანტიები, უძრავი ქონების შეძენა განსაკუთრებული პირობებით, პრეფერენციული პირობები სახელმწიფო შესყიდვების დროს და მოგების მიღების გარანტია და სხვა ექსკლუზიური უფლებების მინიჭება, რომლებიც ზღუდავენ კონკურენციას ან ქმნიან მისი შეზღუდვის საშიშროებას, ანიჭებენ რა უპირატესობას გარკვეულ ეკონომიკურ აგენტებს ან გარკვეული საქონლის წარმოებას;

ე) სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა – ეკონომიკურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების მიზნით სახელმწიფოს მიერ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე რესურსებით, პასუხისმგებელი შემსრულებელი სამთავრობო დაწესებულებებით, შესრულების ვადებით და მომხმარებლებით უზრუნველყოფილი სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა კომპლექსი;

ვ) არაკონკურენტული გარემო – სასაქონლო ბაზრები, სადაც შესაძლებელია კონკურენციის არსებობა, მაგრამ იგი შეზღუდული ან/და აკრძალულია სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ;

ზ) მონოპოლიური მდგომარეობა – ბაზრის ისეთი მდგომარეობა, სადაც არსებობს საქონლის ერთი გამყიდველი და საქონელს არ გააჩნია სხვა ურთიერთშენაცვლებადი საქონელი;

თ) რეგულირებადი ეკონომიკური სფეროები – ეკონომიკური საქმიანობის სახეები, რომლებიც მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას ან/და ინფრასტრუქტურულ სფეროებში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოები;

ი) ინფრასტრუქტურული სფერო – სფერო, რომელშიც ხორციელდება არათავისუფლად ბრუნვადი საქონლის წარმოება, მიწოდება, მომსახურება;

კ) განსაკუთრებული საკუთრება – არათავისუფლად ბრუნვადი საქონლის ტრანსპორტირების (გატარების) ერთი ან რამდენიმე საშუალება;

ლ) განსაკუთრებული საკუთრების მფლობელი – ეკონომიკური აგენტი, რომელიც გვევლინება არათავისუფლად ბრუნვადი საქონლის

ტრანსპორტირების (გატარების) ერთი ან რამდენიმე საშუალების მფლობელად (მფლობელებად) ან მოიჯარედ (მოიჯარეებად);

მ) არათავისუფლად ბრუნვადი საქონელი – საქონელი, რომლის წარმოება, იმპორტი, მიწოდება და მოხმარება ხდება შეზღუდული (სპეციფიკური), განსაკუთრებული პირობებით;

ნ) სატარიფო რეგულირება – შეზღუდული კონკურენციის პირობებში პროდუქციასა და მომსახურებაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული ფასი (ტარიფი);

ო) ადმინისტრაციული ბარიერი – სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ შესაბამისი კანონმდებლობით მასზე დელეგირებული უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება (ზედმეტი დოკუმენტების მოთხოვნა, ეკონომიკური საქმიანობის დაწყებისთვის აუცილებელი დოკუმენტების გაცემის დაუსაბუთებელი შეფერხება და სხვ.);

პ) დისკრიმინაციული ბარიერი – სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან საკუთრების ფორმის, რეზიდენტობის ან სხვა, ცალკე აღებული კრიტერიუმების მიხედვით, ეკონომიკური აგენტისათვის დაუსაბუთებელი, განსხვავებული და უსამართლო მოთხოვნების წაყენება ან შეღავათების მინიჭება.

მუხლი 3

ამ კანონის მიზანია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის მიუხედავად, საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციისათვის ბარიერების მოხსნა. კერძოდ:

ა) ეკონომიკური აგენტების კონკურენციისათვის ხელის არშეშლა;

ბ) ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული ბარიერების აღკვეთა და ბაზარზე ეკონომიკური აგენტების თავისუფალი დაშვებისათვის ხელის არშეშლა;

გ) სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან დისკრიმინაციული ბარიერების არსებობის აღკვეთა ან მათი შექმნის დაუშვებლობა;

დ) შეზღუდული კონკურენციის პირობებში რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში საზოგადოების სასიცოცხლო და ეკონომიკური ინტერესების დაცვა;

ე) სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი საერთაშორისო ვალდებულებების აღების დაუშვებლობა, რომლებიც შეაფერხებენ თავისუფალ ვაჭრობას ქვეყნის შიგნით და გარეთ.

მუხლი 4

ეს კანონი ვრცელდება:

ა) იმ ურთიერთობებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენციასა და თავისუფალ ვაჭრობაზე და რომლებშიც მონაწილეობენ იურიდიული ან/და ფიზიკური პირები ან/და სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები;

ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების იმ ქმედებებსა ან/და გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით გავლენას ახდენენ (ან შეუძლიათ მოახდინონ) კონკურენტულ გარემოზე და თავისუფალ ვაჭრობაზე.

მუხლი 5

ეს კანონი არ ვრცელდება საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან, სავაჭრო ნიშნებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე.

მუხლი 6

ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

თავი II

კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვა

მუხლი 7

სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალება:

ა) დააწესოს ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათები, რომლებიც კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს მას და იწვევს კონკურენციის შეზღუდვას;

ბ) აკრძალოს, შეაჩეროს ან სხვაგვარად შეაფერხოს ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობა და დამოუკიდებლობა, გარდა საქართველოს კანონებით დადგენილი გამონაკლისებისა;

გ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციის მიზნით შექმნას სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურები ან უკვე არსებულ სტრუქტურებს მიანიჭოს ისეთი უფლებამოსილება, რომელიც გამოიწვევს კონკურენციის შეზღუდვას;

დ) მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისთვის მონოპოლიური მდგომარეობის მინიჭებას, რაც არსებითად ზღუდავს კონკურენციასა და თავისუფალ ფასწარმოქმნას, გარდა საქართველოს კანონებით დადგენილი გამონაკლისებისა.

თავი III

სახელმწიფო დახმარება და მიზნობრივი პროგრამები

მუხლი 8

1. აკრძალულია სახელმწიფო დახმარება ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. სახელმწიფო დახმარება შეიძლება დაშვებულ იქნეს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფორსმაჟორული შემთხვევებისას;

ბ) გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის ან ეკონომიკური ზონის განვითარების ან/და კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით.

3. სააგენტო შეიმუშავებს და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის ზოგად წესს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული წესის საფუძველზე სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები შეიმუშავენ სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურას, რომლითაც განისაზღვრება მისი განხორციელების საჭიროება, შესაბამისი ფორმები და მიმღები სუბიექტები.

5. სააგენტოს მიერ დადგენილი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად შემუშავებული სახელმწიფო დახმარების პროცედურა შესათანხმებლად წარედგინება სააგენტოს.

6. სააგენტოს ეცნობება სახელმწიფო დახმარების გაცემის გეგმის, დახმარების შეცვლის ან/და განხორციელებული დახმარების შესახებ.

მუხლი 9

1. აკრძალულია ისეთი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომელიც ნებისმიერი ფორმით აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას.

2. სააგენტო შეიმუშავებს და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მიღების ზოგად წესს.

3. სააგენტოს მიერ დადგენილი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები შესათანხმებლად წარედგინება სააგენტოს.

4. სააგენტოს ეცნობება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის გეგმისა ან/და პროგრამის შეცვლის შესახებ.

მუხლი 10

1. სააგენტო ვალდებულია მისთვის წარდგენილი სახელმწიფო დახმარების პროცედურა ან/და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა შეითანხმოს 30 დღეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხმობა ჩაითვლება გაცემულად.

2. სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს ქმედების ამ კანონით განსაზღვრულ დებულებებთან წინააღმდეგობის გამოვლენის ან მათი

არასწორად გამოყენების რისკის არსებობის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს დასაბუთება შესაბამისი სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოსგან.

3. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე სააგენტო ადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ გაცემული სახელმწიფო დახმარების ან/და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შესაბამისობას ამ კანონით განსაზღვრულ დებულებებთან და 30 დღეში იღებს რეკომენდაციას აღნიშნული დახმარების კანონთან შესაბამისობის თაობაზე.

4. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, რომელსაც ინფორმაცია წარუდგინეს ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, 10 დღეში იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული დახმარების ან/და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის გაუქმების, შეცვლის ან უცვლელად დატოვების შესახებ.

5. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო ვალდებულია სააგენტოს აცნობოს წარმოდგენილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

თავი IV

რეგულირებადი ეკონომიკური სფეროები

მუხლი 11.

1. განსაკუთრებული საკუთრების მფლობელი ვალდებულია მომსახურების შეძენის ან/და გაყიდვის მიზნით სხვა ეკონომიკური აგენტები დაუშვას თავის ქსელში ან ინფრასტრუქტურაში არადისკრიმინაციული პირობებით.

2. განსაკუთრებული საკუთრების მფლობელმა შეიძლება უარი განუცხადოს სხვა ეკონომიკურ აგენტებს ქსელში მათ დაშვებაზე, თუ უარი ემყარება შემდეგ ობიექტურ მიზეზებს:

ა) არ არის დაკმაყოფილებული დადგენილი ტექნიკური მოთხოვნები და ნორმები და, შესაბამისად, საშიშროება ექმნება ქსელის მთლიანობის ან მომსახურებათა უსაფრთხო ურთიერთქმედების შენარჩუნებას;

ბ) ეკონომიკურ აგენტს, რომელიც ითხოვს ქსელში დაშვებას, არ გააჩნია საკმარისი ფინანსური შესაძლებლობები, რათა უზრუნველყოს შესაბამისი

ტექნიკური მოთხოვნებისა და ნორმების დასაკმაყოფილებლად საჭირო სამუშაოების ჩატარება.

3. განსაკუთრებული საკუთრების მფლობელის მიერ სხვა ეკონომიკური აგენტისათვის ქსელში დაშვებაზე უარის ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობას აღნიშნული აგენტის განაცხადის საფუძველზე ადგენს სააგენტო.

4. ამ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული მოთხოვნები არ ვრცელდება ინფრასტრუქტურულ სფეროებში კერძო ინვესტიციებით შექმნილ არათავისუფლად ბრუნვადი საქონელის ტრანსპორტირების (გატარების) საშუალებებზე.

5. ამ კანონის მოთხოვნათა შესრულების მიზნით სააგენტო ახორციელებს რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედი ეკონომიკური აგენტის საქმიანობის ანალიზს, შეიმუშავებს და აქვეყნებს შესაბამის რეკომენდაციებს.

6. რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში მოქმედი ეკონომიკური აგენტის მიერ ამ კანონის მოთხოვნების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში სააგენტო დამრღვევს წარუდგენს რეკომენდაციას შესაბამისი ხელშეკრულების (გადაწყვეტილების) კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე.

7. რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში მოქმედი ეკონომიკური აგენტი შესაბამისი რეკომენდაციის მიღებიდან 10 დღეში იღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების (გადაწყვეტილების) კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ ან უცვლელად ტოვებს მას.

8. რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში მოქმედი ეკონომიკური აგენტი ვალდებულია სააგენტოს აცნობოს წარმოდგენილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

9. ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები არ ვრცელდება განსაკუთრებული საკუთრების მფლობელის მიერ მესამე მხარის ქსელში დაშვებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, თუ ასეთი დაშვების პირობები განსაზღვრულია ცალკე კანონით და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს შესაბამისი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული ორგანო.

თავი V

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო

მუხლი 12

1. თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიმართ სააგენტო უფლებამოსილია:

ა) წარუდგინოს ამ კანონის დამრღვევ სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიწერილობა მის მიერ მიღებულ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებაზე;

ბ) მოსთხოვოს სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს ამ კანონის დებულებების დარღვევით განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

გ) წარდგინოს მიწერილობაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ შესაბამისი რეაგირების განუხორციელებლობის შემთხვევაში დასვას მათი პასუხისმგებლობის საკითხი შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე;

დ) დააყენოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობის დამრღვევი თანამდებობის პირის დისციპლინური, ადმინისტრაციული ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

3. რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიმართ სააგენტო უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს აგენტს ამ კანონის დებულებების დარღვევით განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

ბ) დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე აგენტის მიერ ანალიზის განხორციელების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე;

გ) მოსთხოვოს აგენტს განხორციელებული ქმედების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა;

დ) მიმართოს სასამართლოს აგენტის მიერ ამ კანონის მოთხოვნების დარღვევით განხორციელებული ქმედების ან მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

3. სააგენტო უფლებამოსილია დაადგინოს სახელმწიფო დახმარების პროცედურის ან/და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შეთანხმების წესი, რომელშიც განისაზღვრება შეთანხმების ფორმები, ვადები და სხვა პროცედურული საკითხები.

4. მუხლი 13

სააგენტოს ძირითადი მოვალეობებია:

ა) თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარების ხელშემშლელი ადმინისტრაციული ბარიერების აღკვეთა;

ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დისკრიმინაციული ქმედებების, დაუსაბუთებელი სახელმწიფო სუბსიდიებისა (პირდაპირი და არაპირდაპირი) და შეღავათების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა;

გ) თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების განხილვა და შესაბამისი მიწერილობის შემუშავება;

დ) სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ წარდგენილი მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

დ.ა) სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა და საქმის განხილვაში მონაწილეობის მიიღება;

დ.ბ) მოტივირებული უარის შემთხვევაში საჯაროდ განცხადება ამ კანონის მე-13 მუხლის "დ" ქვეპუნქტში მითითებულ პირთა მართლზომიერი ქმედების შესახებ;

ე) სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოების დაცვა და გაუვრცელებლობა;

ვ) საიდუმლოების შემცველი მონაცემების გამჟღავნებისას მიყენებული ზარალის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით;

ზ) ყოველწლიურად გაწეული საქმიანობის ანგარიშისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა საქართველოს მთავრობისათვის:

ზ.ა) სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ამ კანონის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის თაობაზე;

ზ.ბ) რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ამ კანონის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 14

ამ კანონის დამრღვევ პირს ეკისრება დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

თავი VI

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 15

ა) საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვეში უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ფასების სახელმწიფო ინსპექციის ლიკვიდაციის პროცესის დასრულება;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ფასების სახელმწიფო ინსპექციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით

გათვალისწინებული ასიგნებებისა და ამ დაწესებულებების ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების სააგენტოსათვის გადაცემა;

გ) ამ კანონის ამოქმედებიდან 9 თვეში საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს" ბაზაზე "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს", როგორც მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანოს ფორმირების მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენა.

თავი V²²

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 16

ამ კანონის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი (პარლამენტის უწყებანი, N22-23, 17 ოქტომბერი, 1996, გვ.19);

ბ) "ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონი (პარლამენტის უწყებანი N9, 1993წ., მუხ.189);

გ) საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის N596 ბრძანებულება "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებისათვის აუცილებელი ნორმატიული აქტების თაობაზე;

დ) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 თებერვლის 195 ბრძანებულება "ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების შესახებ";

ე) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 23 აპრილის N262 ბრძანებულება "საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან არსებული ანტიმონოპოლიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ";

ვ) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 11 მაისის N314 ბრძანებულება "საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ";

ზ) საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 30 სექტემბრის N426 ბრძანებულება "საქართველოს სასაქონლო ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე";

თ) საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 იანვრის N8 ბრძანებულება "საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შემოწმების მოწყობის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

ი) საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 31 მარტის N145 ბრძანებულება "საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 11 მაისის N314 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე";

კ) საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ანტი-მონოპოლიური სამსახურის უფროსის 2000 წლის 12 დეკემბრის N8/42 ბრძანება "შესაბამის (კონკრეტულ) სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრის შესახებ."

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

თბილისი, 2005 წლის 3 ივნისი.

1550–იხ